

## ეთნიკური პროცესები აფხაზეთში (უძველესი დროიდან დღემდე)

თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური ცვლილებებისთვის თვალის გადევნება ბრინჯაოს ხანიდან არის შესაძლებელი.

ადრე ბრინჯაოს ხანიდან დასავლეთ საქართველოში, თანამედროვე აფხაზეთის ჩათვლით, ეთნიკური განვითარების უწყვეტი ხაზი დასტურდება. შუა ბრინჯაოს ხანის დასასრულს, ძვ.წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზეც, **ყალიბდება ერთიანი ქართველური კულტურა**, რომელიც კოლხური კულტურის სახელითაა ცნობილი.

ძვ.წ. XV საუკუნეში ისტორიული საქართველოს ტერიტორიაზე უძველესი ქართული სახელმწიფო — კოლხეთის სამეფო ჩამოყალიბდა, რომელიც შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. ყუბანის შავ ზღვაში ძველ შესართავამდე აღწევდა. ქართული საისტორიო ტრადიციით, ეს ტერიტორია ქართველთა სახელმწიფოა, რომლის ერთი ნაწილი — „ქვეყანა ლიხის მთიდან მდინარემდე „მცირისა ხაზარეთისა, სადა წარსწუთების წუერი კავკასიისა“, ე.ი. მდ. ყუბანის შესართავამდე — ქართველთა ერთ-ერთი ეთნარქის — **ეგროსის** სამკვიდროა („ქართლის ცხოვრება, 1955: 5); ეს არის ირიბი გამოძახილი იმ ფაქტისა, რომ ეს მხარე ქართველთა სამკვიდროა.

საისტორიო წყაროების მონაცემებით, წინაანტიკურ და ელინისტურ ხანაში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია მთლიანად მოქცეულია კოლხეთის სამეფოს შემადგენლობაში და ქართული მოდემის ტომებითაა დასახლებული. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ახ.წ. II საუკუნის ავტორები — ფლავიუს არიანე და კლავდიოს პტოლემეაოსი შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე (თანამედროვე ქალაქ ტუაფსვის მახლობლად) ასახელებენ გეოგრაფიულ პუნქტს — ლაზიკას (შუა საუკუნეების ქ. ნიკოფსია). საგულისხმოა, რომ არიანე ამ პუნქტს „ძველ ლაზიკას“ უწოდებს, რაც ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში ქართული მოსახლეობის განსახლების უტყუარი მოწმობაა (თ. ყაუხჩიშვილი, 1976).

საკუთრივ თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ძვ.წ. VI — ახ.წ. II სს. ძველი ბერძნული საისტორიო მწერლობის მიხედვით (ჰეკატაიოს მილეტელი, სკილაქს კარიანდელი, კლავდიოს პტოლემეაოსი და სხვ.), მოხსენიებულია შემდეგი ტომები — კოლები, კორაქსები, სვანო-კოლხები, კოლხები, — რომელთა ქართული წარმომავლობა ეჭვს არ იწვევს (თ. ყაუხჩიშვილი, 1976).

ძვ.წ. II ს. დასასრულს კოლხეთის სამეფოს დაცემამ აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში არამყარი სიტუაცია შექმნა, რამაც ამ რეგიონში ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ტომების შემოჭრას მისცა ბიძგი. ამ გარემოებამ, თავის მხრივ, აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ შავი ზღვისპირეთში მოსახლე ტომების გადაადგილება გამოიწვია. ასეთ ვითარებაში, ძვ.წ. I საუკუნეში, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მდ. აქეთნტასა (შახე) და მდ. ნიკოფსიას (ნეგოფსუხო) შორის მკვიდრდება ჯიქების აფხაზურ-ადიღური ტომი, რომელიც ადრე ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლეობდა.

ძვ.წ. I საუკუნეში შავი ზღვის სანაპირო ზოლში, მდ. აქეთნტადან დიოსკურიამდე (ამჟ. სოხუმი) ტერიტორიაზე სანიგები ცხოვრობდნენ.

სანიგები ის დასავლურქართული ტომია, რომელიც უფრო ადრე ლაზების სახელით ჩრდილო-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში გვხვდება. I—II სს. ანტიკურ წყაროებში (პლინიუს სეკუნდი, ფლავიუს არიანე) დღევანდელი აფხაზეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში პირველად იხსენიებიან აფსილები და აბაზგები, და ქვეყნები — აფსილია და აბაზგია. ბერძნული წყაროების „აფსილია“ და „აბაზგია“ სახელებს ქართულ შუასაუკუნოვან წყაროებში („ქართლის ცხოვრება“) „აფშილეთი“ და „აფხაზეთი“ შეესატყვისება. I-IV სს. დასავლეთ საქართველო ლაზიკის სამეფოში გაერთიანდა, რომლის საზღვრებში თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაც შედიოდა, სადაც აფშილები, აბაზგები, სანიგები, მისიმიანები, ეგრები ცხოვრობდნენ.

საგულისხმოა, რომ ამ მხარის ტოპონიმია მთლიანად ქართულია. ასე, მაგალითად: „დიოსკურია“, „ცხუმი“ (< რცხილა)<sup>1</sup>, ბიჭვინთის როგორც ქართული, ისე ძველი ბერძნული სახელი პიტიუნტი ქართ. ფიჭვიდან (ბერძნ. Pitios) მომდინარეობს; „გაგრა, ქართული „გაგარიდან“ მოდის, რაც გასასვლელს ნიშნავს; „სოჭი“ (ქართ. მცენარის სახელი; შდრ.: „სონჩ“ - სვანებისა) და ა.შ.

I საუკუნიდან დასავლეთ საქართველოში, მათ შორის თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, ქრისტიანობა ვრცელდება, რომელსაც აქ მოციქულები — ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი ქადაგებდნენ. ეს უკანასკნელი ჯიქეთში აღესრულა და ნიკოფსიაში დაკრძალეს. ქრისტიანული თემები აქ იმდენად მრავალრიცხოვანი იყო, რომ უკვე IV საუკუნეში ბიჭვინთაში ეპისკოპოსი იჯდა. ბიჭვინთის ეპისკოპოსი სტრატოფილ მონაწილეობდა I მსოფლიო საეკლესიო კრებაში, რომელიც ქ.ნიკეაში 325 წ. გაიმართა. 326 წელს ეგრისში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

VI-VIII სს. აბაზგებმა შეიერთეს სანიგების, აფშილების, მისიმიანების მიწა-წყალი და ამ ტერიტორიაზე გავრცელდა ტერმინი აბაზგია. ქართული საისტორიო წყაროები ამ პოლიტიკურ ერთეულს აფხაზეთა საერისთავოს უწოდებენ. VIII ს. შუა ხანებში ეგრისის სამეფო დაიშალა, ხოლო ორი ათეული წლის შემდეგ, აფხაზეთა ერისთავმა ლეონ I-მა, რომელიც ეგრისის მეფეთა გვერდით შტოს ეკუთვნოდა და, ამასთანავე, დინასტიური ქორწინების შედეგად ეგრისის ტახტის მემკვიდრე იყო, მთელი დასავლეთი საქართველო ერთ სამთავროდ გააერთიანა.

VIII ს. მიწურულს ლეონ I-ის ძმისწული ლეონ II გათავისუფლდა ბიზანტიისადმი ვასალური დამოკიდებულებისაგან და თავი მეფედ გამოაცხადა. მმართველი დინასტიის მიხედვით, ამ სახელმწიფოს „აფხაზეთა“ სამეფო ეწოდა. ზოგიერთი სომხური წყარო მას „ეგრისსა უწოდებს, მის მეფეს — „ეგრისის მეფეს“, ხოლო სამეფოს მოსახლეობას — „ეგრისელებს“ (იოანე დრასხანაკერტელი, 1965: 38, 64, 109, 111, 119, 257).

დასავლეთ საქართველოს გაერთიანებისა და „აფხაზეთა“ სამეფოს შექმნის შემდეგ გაფართოვდა ცნება „აფხაზეთის“ მნიშვნელობა. ამ დროიდან ის საკუთრივ აფხაზეთს და მთელ დასავლეთ საქართველოს აღნიშნავდა, ხოლო „აფხაზი“ საკუთრივ აფხაზს და ყველა დასავლელქართველს ეწოდებოდა (მ.ლორთქიფანიძე, 1990: 17).

XI ს. დასაწყისში „აფხაზეთა“ სამეფო საქართველოს ერთიან მონარქიაში გაერთიანდა. საქართველო საერისთავოებად იყო დაყოფილი. დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე არსებობდა აფხაზეთის, ცხუმის, ოდიშის საერისთავოები, რომელთაც ქართული ფეოდალური საგვარეულოები — შარვაშიძეები, ამანელისძეები, დადიანები განაგებდნენ. საქართველოს მეფეთა

1 „სოხუმი“ ამ სახელწოდების არაბულ-თურქული ფორმაა.

ტიტულატურაში — „მეფე აფხაზთა და ქართველთა...“ იმის გამო, რომ პირველად „მეფე აფხაზთა“ მოიხსენიებოდა, XI-XIII სს. ზოგიერთ უცხოურ წყაროში „აფხაზეთი“ და „აფხაზები“ ხშირად საქართველოსა და ქართველის მნიშვნელობით იხმარება (З.В.Анчабадзе, 1959: 171-177; მ.ლორთქიფანიძე, 1990: 17).

XIII საუკუნიდან საქართველოს მიძიმე დრო დაუდგა. ჯალალედინის შემოსევებმა, მონღოლების ასწლოვანმა უღელმა და თემურ-ლენგის შემოსევებმა საქართველოს სახელმწიფო დაასუსტა. XV ს. მეორე ნახევარში ერთიანი საქართველოს სამეფო დაიშალა. დასავლეთ საქართველო იმერეთის სამეფოში გაერთიანდა, რომლის შემადგენლობაში აფხაზთა საერისთავოც შედიოდა. ამ დროიდან ქართველები და არა მხოლოდ ქართველები, აფხაზეთს ამ აღმინისტრაციულ-პოლიტიკურ ერთეულს, ხოლო აფხაზებს მის მცხოვრებთ უწოდებდნენ. აფხაზთა ერისთავები ისევ შარვაშიძეთა ქართული ფეოდალური საგვარეულოდან იყვნენ.

საქართველოს დასუსტებითა და დაშლით ისარგებლეს ჩრდილოკავკასიელმა მთიელებმა, რომლებმაც საქართველოზე თავდასხმები დაიწყეს. ეს პროცესი, რომელიც „მთის ჩამოწოლის“ სახელითაა ცნობილი, მიმდინარეობდა ჩრდილო-აღმოსავლეთ საქართველოშიც, — ლეკების ჩამოსახლება აღმოსავლეთ კახეთში, ალან-ოსების — შიდა ქართლში, ჩრდილო-დასავლეთით — აბაზა-ადიღელების ჩამოსახლება. სამეფო ხელისუფლების მორჩილებიდან გამოვიდნენ ჯიქები, რომლებიც ადიღური ტომების მოწოლით სამხრეთ-აღმოსავლეთით მოიწვედნენ. ამის შედეგად, XV ს. მეორე ნახევარში საქართველომ დაკარგა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო, ქ.ნიკოფსია და მისი მიმდებარე ტერიტორია გაგრის ვიწროებამდე. ეს ფაქტი ადიღურ ფოლკლორშიც აისახა, რომლის თანახმადაც, ადიღელთა წინამძღოლს — ინალს აფხაზეთი დაუპყრია, მაგრამ მოულოდნელად გარდაცვლილა და აქვე, ფსხუში დაუკრძალავთ (Ш.Б.Ногмов, 1970: 54-55).

კავკასიის მთის მოსახლეობის ლტოლვა საქართველოს ბარისაკენ გამოწვეული იყო მონღოლების მიერ მათი შევიწროებითა და ადრინდელი საცხოვრისიდან გამოდევნით, რის შედეგადაც ისინი იძულებულნი გახდნენ საარსებო მიწა ეძებნათ. დარბეული და დასუსტებული საქართველო მათ სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა. მთას თან მოჰქონდა მისთვის დამახასიათებელი პრიმიტიული სამეურნეო და სოციალური ყოფა, წეს-ჩვეულებები, წარმართობა. საქართველოს ბარი თავიდან ითვისებდა მას, მოსული ელემენტი დამხვდურის კულტურას ეზიარებოდა, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებელი ხდებოდა და ერწყმოდა დამხვდურთ, მაგრამ თავის მხრივაც ახდენდა გავლენას მასზე (ბ.ხორავა, 1996, 53-54).

XV საუკუნეში „მთის ჩამოწოლის“ პროცესი აფხაზეთში საკმაოდ შორსაა წასული, რისი აშკარა დადასტურებაა აფხაზთა გაწარმართება, რაც აისახა დაახლოებით 1470-1474 წწ. შედგენილ ძეგლში „მცნება სასჯულო“. აქ პირველად გამოჩნდა ქართული სამყაროდან აფხაზთა „გაუცხოების“ კვალი: „აფხაზეთი ქრისტეანობისაგან სრულიად მიდრეკილ იყუნეს, ქრისტეს მცნებათაგან განშორებულ იყუნეს“ (ქართული სამართლის ძეგლები, 1970: 222). იმავე ხანებში ხობის ეკლესიისადმი შეწირულ სიგელში ნათლადაა ნაჩვენები იმ დროს აფხაზეთში შექმნილი ვითარება: „მას ჟამსა უღმთოდ და უსჯულოებად მიიქცნეს აფხაზნი“, „აფხაზთა გარყუნეს სჯული და კათალიკოზობა“ (საქართველოს სიძველენი, 1920: 26). ამ დროს საქართველოს ჩრდილო-დასავლეთ ნაწილის ეკლესია-მონასტრებიდან უსაფრთხო აღვილას,

ქვეყნის სიღრმეში, გადმოჰქონდათ საეკლესიო სიწმინდეები. როგორც ჩანს, სვიმონ კანანელის ნეშტი ნიკოფსიიდან ანაკოფიაში ამ დროს გადმოასვენეს.

მთის ჩამოწოლის შედეგად აფხაზეთში მკვიდრდებიან ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან წამოსული ტომები, რომელთაც ქართული წყაროები ჯიქების, ხოლო უცხოური წყაროები აბაზების კრებითი სახელით მოიხსენიებენ. აფხაზეთის მკვიდრმა მოსახლეობამ ველარ შეძლო მთის ჩამოწოლის სათანადო სოციალურ-რელიგიური ათვისება, ჩამოსახლებულმა მასამ წალეკა ადგილობრივი მოსახლეობა, რის შედეგადაც ამ მხარეში რადიკალური ეთნიკური ცვლილება მოხდა. ჩამოსახლებულ მთიელთა ადგილობრივ მოსახლეობასთან შერწყმის შედეგად ჩამოყალიბდა თანამედროვე აფხაზური (აფსუა) ეთნოსი (ბ. ხორავა, 1996: 87). სამწუხაროდ, ამ ახალ ეთნიკურ ჯგუფს ქართველებმა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მექანიკურად აფხაზი უწოდეს, ისინი კი თავს აფსუსს უწოდებენ. „აფსუა“ და „აფხაზ“ ეთნონიმების გაიგივებამ აფხაზეთის ისტორიის კვლევაში ქაოსი და არეულობა შეიტანა, რის ტრაგიკულ შედეგებს დღესაც ვიმკით. აღსანიშნავია, რომ აფხაზთა თვითსახელწოდება „აფსუა“ ეთნონიმ „აბაზას“ ფონეტიკური სახეცვლილებაა; ენათმეცნიერებაში აღიარებულია, რომ აფხაზური (აფსუა) ენა აბაზურ ენასთან ერთად ქმნის ერთ ენობრივ ერთეულს და მათ შორის მხოლოდ დიალექტური განსხვავებაა (K.V. Ломтагидзе, 1967: 123). აფხაზეთში მომხდარი რადიკალური ეთნიკური ცვლილება აფხაზურ (აფსურ) ფოლკლორსა და ეთნოგენეტიკურ გადმოცემებშიც აისახა.

აბაზა-ადილელების ჩამოსახლება აფხაზეთში ყოველთვის საომარი გზით როდესაც ხდებოდა. ისინი უმთავრესად მაინც აფხაზთა მთავრებისა და თავადაზნაურების, მიწის მებატონეთა ნებით სახლდებოდნენ აქ, როგორც უმიწაწყო მთიელები. აფხაზეთში ჩამოსახლებულ მთიელებს მთავრები უმთავრესად მოლაშქრეებად იყენებდნენ თავიანთი მიწა-წყლის გაფართოებისათვის ბრძოლაში. XVI ს. მიწურულს აფხაზებმა მიიტაცეს ოდიშის (სამეგრელოს) სამთავროს მიწა-წყალი მდ.კელასურამდე ქართული ქალაქებით — ანაკოფია (შემდეგში — ფსირცხა, ამჟამად — ახალი ათონი) და ცხუმი (ამჟ. სოხუმი), ხოლო XVII ს. მიწურულს მდ. ვერისწყლამდე (ამჟ. ლალიძგა) გააფართოვეს თავიანთი სამფლობელო. აფხაზთა მიერ მიტაცებულ ტერიტორიაზე შეუძლებელი გახდა ქრისტიანული ეკლესიის ფუნქციონირება, რის გამოც 1681 წ. დრანდისა და მოქვის საეპისკოპოსოები გაუქმდა. აფხაზები თავს ესხმოდნენ და ძარცვავდნენ ოდიშის (სამეგრელოს) ეკლესია-მონასტრებს, მათ შორის, საკათედრო ტაძრებს — ბედიას, ცაიშს, წალენჯიხას, სხვა ეკლესია მონასტრებს (ბ.ხორავა, 1996: 70-113). ამ თავდასხმების შესახებ წერენ არა მარტო ქართველი მემკვიდრეები, არამედ უცხოელი ავტორებიც, რომლებიც იმ დროს საქართველოში იმყოფებოდნენ: კათოლიკე მისიონერები — არქანჯელო ლამბერტი, კრისტოფორო კასტელი, ჯუზეპე ჯულიჩე, ფრანგი კომერსანტი და მოგზაური ჟან შარდენი, იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოსი (1669-1707), ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი (1647-1672) და სხვები. XVIII ს. 70-იან წლებში აფხაზთა ექსპანსიის გამო ბედიის საეპისკოპოსოც გაუქმდა.

XVI-XVIII სს. ქართულ საეკლესიო საბუთებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ მიმდინარეობდა ქართული მოსახლეობის აყრა და განდევნა თავისი სამკვიდროდან. მდინარეებს — კელასურსა და ვერისწყალს შორის მოსახლეობის ნაწილი აფხაზთა მიერ აოხრებისა და აკლების დროს გადაიხვეწა; ვინც მახვილს, შიმშილსა და ავადმყოფობას გადაურჩა, აფხაზებმა ტყვედ მიჰყიდეს თურქ-ოსმალებს. დაცარიელებულ ადგილებზე აფხაზები სახლდებოდნენ. იმავდროულად მიმდინარეობდა გადარჩენილი ქართული მოსახლეობის გააფხაზების პროცესი,

რაც ყველაზე ადრე აფხაზეთის მთის თემებში (წებელდა, დალი, ფსხუ) დაიწყო. ამიტომაც არის, რომ აფხაზეთა დიდი ნაწილი დღეს ქართულ გვარსახელებს ატარებს. ეთნიკურმა ცვლილებებმა აფხაზეთში და აფხაზეთა მიერ მიტაცებულ ოდიშის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ადგილობრივი სახელწოდებების შეცვლა გამოიწვია (ბ.ხორავა, 1996: 140-156).

გვიანი შუა საუკუნეების „აფხაზები“ კავკასიელი მთიელებია, რომელთაც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა, ფეოდალური სოციალური წყობა, ქრისტიანობა. ისინი, თავიანთი პრიმიტიული ყოფითა და წარმართული რელიგიით, ამჟამად არ არიან იმ აფხაზეთა შთამომავალი, რომლებიც ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოს კულტურულ-პოლიტიკურ მშენებლობაში მონაწილეობდნენ. ეს გენეტიკური ხაზი მოსახლეობის ძირითად მასაში, დაბალ ფენებში, გაწყვეტილია და მხოლოდ აფხაზ ფეოდალთა წრეში ჩანს შენარჩუნებული ქართული კულტურული ტრადიციები. ეთნიკური ცვლილებების შემდეგ აფხაზეთში მკვიდრდება ახალი სალოცავები, მათ შორის, — ინალ-კუბა, ინალის საფლავი ფსხუში; ხეებისა და წმინდა ჭალების კულტი და სხვ. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთა სალოცავების ერთი ნაწილი დანგრეული, გაუქმებული ეკლესიების ადგილას იყო.

XVIII საუკუნეში აფხაზეთში თურქები გაბატონდნენ. თურქთა ბატონობამ ვერ შეძლო აფხაზეთის საქართველოსთან ოდინდელი ისტორიული კავშირის გაწყვეტა. ქართულ-აფხაზურ ისტორიულ-კულტურულ ერთობას ხელი ვერ შეუშალა ისლამის გავრცელებამაც, რასაც დიდი მასშტაბებისთვის არც მიუღწევია. აფხაზები რელიგიის მიმართ საკმაოდ გულგრილნი იყვნენ. დამახასიათებელია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე არ არსებობს ისლამური არქიტექტურის ძეგლები. აფხაზეთა რელიგია სინკრეტიზმით ხასიათდება — მხარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში წარმართობისა და ისლამის, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში წარმართობისა და ქრისტიანობის ნაზავით.

მიუხედავად მწვავე პოლიტიკური გათიშულობისა, მთელი გვიანი შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზეთა მთავრები ქართველ მეფეთა უზენაესობას აღიარებდნენ; მათთვის ქართული ენა იყო საკომუნიკაციო ენა, ამ ენაზე მუშაობდა მთავრის კანცელარია. ეს ყოველივე ცხადყოფს, რომ ქართული ენა ამ მხარის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების პროცესის მთავარი წახნაგი იყო. ეს ტრადიცია თაობიდან თაობაში გადადიოდა ისტორიული პირობების შესაბამისად და საქართველოს დანარჩენ ნაწილებთან აფხაზეთის შინაგანი ერთობა არასოდეს გაწყვეტილა (ს. ჯანაშია, 1988: 35).

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიამ ქართული სამეფო-სამთავროები ნაწილ-ნაწილ შეიერთა. 1810 წელს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა აფხაზეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მხარე. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის სამთავრო ტახტის მემკვიდრის — გიორგი შარვაშიძის თხოვნა რუსეთის იმპერატორისადმი აფხაზეთის ქვეშევრდომობაში მიღების შესახებ ქართულ ენაზეა შედგენილი.

საქართველოს შეერთების შემდეგ რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობისთვის ზრუნვას შეუდგა. მეფის ხალისუფლებას სურდა კავკასია „სამოქალაქო და პოლიტიკური თვალსაზრისით მჭიდროდ შეეკრა რუსეთთან და მის განუყოფელ ნაწილად ექცია“, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა „ენით, გონებით და გრძნობით რუსი გამხდარიყო“ (История СССР, 1967: 384). ამ გეგმის განხორციელებას ცარიზმი კოლონიზაციის საშუალებით ცდილობდა, რადგან მხარის ათვისების ერთ-ერთ უმთავრეს საშუალებად ეს ღონისძიება მიაჩნდა.

ცარიზმის მიზანს ყოველთვის წარმოადგენდა დაპყრობილი ქვეყნის კოლონიზაცია და ასიმილაცია. ცნობილი რუსი ისტორიკოსი ვკლიუჩევსკი კოლონიზაციას „რუსეთის ისტორიის ძირითად ფაქტორად“ მიიჩნევდა (B. O. Ключевский, 1956: 30). რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855) სავსებით იზიარებდა კავკასიაში კოლონიური პოლიტიკის გატარების აუცილებლობას, რადგან მიაჩნდა, რომ კოლონიზაციას ხელი უნდა შეეწყოს „რუსული მფლობელობის განმტკიცებისათვის, უზრუნველყო აღგილობრივი მოსახლეობის სრული მორჩილება და, საბოლოო აზრით, მხარის იმპერიასთან შერწყმა“ (Акты, 1881: 381). ისეთი ლიბერალური და დემოკრატიული ძალა იმ ხანის რუსეთში, როგორც დეკარისტები იყვნენ, ასეთსავე პოზიციაზე იდგნენ. დეკარისტთა „სამხრეთის საზოგადოების“ ლიდერი პ.პესტელი საპროგრამო დოკუმენტში „რუსსკაია პრავედა“, კავკასიის ხალხებს ყოფდა მშფოთვარე, დაუმორჩილებელ და მშვიდ, დამყოლ ტომებად. მისი აზრით, აუცილებელი იყო პირველთა გადასახლება იმპერიის შიდა გუბერნიებში, ხოლო მეორეთა კავკასიაში ჩასახლებულ რუსულ მოსახლეობაში თანდათანობითი ასიმილაცია და სრული გათქვეფა (П.И.Пестель, 1906: 48). შემდეგში ცარიზმი სწორედ ასე მოიქცა.

კავკასიის კოლონიზაციის პროცესს მრავალწლიანი კავკასიის ომი (1817-1864) მოჰყვა. ომის უკანასკნელ ეტაპზე ცარიზმი დაუმორჩილებელი კავკასიელი მთიელების სამშობლოდან ძალდატანებით გასახლებას შეუდგა. ეს პროცესი ცნობილია მუჰაჯირობის სახელით.

მუჰაჯირობა (არაბ. „მუჰაჯერეთ“ — გადასახლება) ანუ კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ძირითადად იძულებითი გადასახლება თურქეთის იმპერიაში XIX საუკუნეში დაკავშირებული იყო კავკასიის ომებთან — სამხედრო მოქმედებათა წყებასთან, რომელსაც მეფის რუსეთი XVIII-XIX სს. კავკასიაში აწარმოებდა. რუსეთის ხელისუფლებას სურდა დაუმორჩილებელ კავკასიელ მთიელთა თურქეთში გადასახლებით მიეღწია პოლიტიკური სიმშვიდისათვის ამ მხარეში, გათავისუფლებული მიწები კი ფართო კოლონიზაციისათვის გამოეყენებინა, ესარგებლა მხარის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით. მუჰაჯირობის პროცესში, ერთი შეხედვით, რელიგიური მომენტი დომინირებდა, მაგრამ ძირითადი მაინც იყო პოლიტიკური ფაქტორი — რუსეთის დამპყრობლური პოლიტიკა. რუსეთის კოლონიზატორულმა პოლიტიკამ გადამწყვეტი ბიძგი მისცა მთიელთა გადასახლებას.

1859 წ. რუსეთის მიერ ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის — ჩეჩნეთ-დაღესტნის დაპყრობის შემდეგ თურქეთში გადასახლდნენ დაღესტნელები, ჩეჩნები, ოსები, — სულ 100 ათასამდე ადამიანი. ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლას განაგრძობდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელები. 1864 წლის მაისში რუსეთმა დასავლეთ კავკასიაც დაიპყრო და კავკასიის ომი დამთავრებულად გამოცხადდა. რუსეთის იმპერიასთან კავკასიის შეერთების ხანგრძლივი პროცესი დასრულდა.

ომის უკანასკნელ ეტაპზე, 1858-1864 წწ. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მცხოვრები ადიღელები — ჯიქები, შავსულები, ნათხვაჯები და აბაზური თემების მნიშვნელოვანი ნაწილი, თურქეთში გადასახლდნენ; ზოგიერთი ხალხი, მაგ., უბიხები — მთლიანად. შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე თითქმის არ დარჩნენ ადიღელები და აბაზები, მხოლოდ მათი მცირე ნაწილი ჩაასახლეს ყუბანისპირეთში. ოფიციალური მონაცემებით, დასავლეთ კავკასიიდან თურქეთში სულ 470 ათასი ადამიანი გადასახლდა, ხოლო ყუბანისპირეთში — 90 ათასი (ბ. ხორავა, 2004: 62).



კავკასიელ მთიელთა ძალდატანებით თურქეთში გადასახლების გამო ევროპაში დიდი ხმაური ატყდა. რუსეთის ხელისუფლება თავს იმართლებდა, რომ მთიელთა თურქეთში გადასახლება მათი ნება-სურვილით არ მომხდარა და ყოველივე მათი ჩარევის გარეშე მოხდა. როგორც ცნობილი პუბლიცისტი, გენერალი რ.ფადეევი აღნიშნავდა, კავკასიის ომში რუსეთის ხელისუფლების მიზანს წარმოადგენდა „შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან მოეშორებინა მთიელები და ეს მხარე რუსებით დაესახლებინა. ეს ზომა აუცილებელი იყო ჩვენი სამფლობელოების უსაფრთხოებისათვის“. როგორც იგი ცინიზმით აღნიშნავდა, არავითარ აუცილებლობას არ წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის თურქეთში განდევნა. რუსეთს საკმარისად ჰქონდა მიწები მათ დასახლებლად მდ.ყუბანის მარცხენა ნაპირზე, მაგრამ ასევე არავითარი მიზეზი არ არსებობდა დაეკავებინათ ისინი მათი სურვილის წინააღმდეგ (P.Фадеев, 1865: 146-147). რ. ფადეევი, რომელიც ოფიციალურ აზრს გამოხატავდა, გულახდილად აღნიშნავდა, რომ „ეს მიწა სჭირდებოდა სახელმწიფოს“, ხოლო რაც შეეხება ადგილობრივ მოსახლეობას, მისი თქმით, „მათი საჭიროება არ არსებობდა“ (P.Фадеев, 1865: 147).

კავკასიის ომის დამთავრების შემდეგ ცარიზმმა ვრცელი ტერიტორია მიიღო საკოლონიზაციოდ. 1861-1864 წწ. დასავლეთ კავკასიაში კაზაკთა 111 სტანიცა (14 239 ოჯახი, 85 ათასი სული) ჩაასახლეს (Г.А.Дзидзария, 1982: 208). იმავდროულად, ამ მხარეში ასახლებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებიდან გადმოსახლებულ რუსებს, უკრაინელებს, თურქეთიდან გადმოსახლებულ ბერძენებსა და სომხებს.

დასავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, როდესაც კავკასიელ მთიელთა ნაწილი ბრძოლაში გაწყდა, ხოლო ნაწილი თურქეთში გადასახლდა, ცარიზმმა კავკასიაში თავი მყარად იგრძნო. უკვე არ არსებობდა აფხაზეთის ავტონომიური სამთავროს შენარჩუნების აუცილებლობა და თვითმპყრობელობა დაპყრობილი მხარის სამხედრო-ადმინისტრაციული მოწყობისა და კოლონიზაციისთვის ზრუნვას შეუდგა. რუსეთის ხელისუფლებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მიმართ სპეციალური გეგმა ჰქონდა შემუშავებული, რომელიც მდ.ყუბანიდან მდ.ენგურის შესართავამდე კაზაკთა დასახლებების შექმნას ითვალისწინებდა. ამიტომ მკვიდრი მოსახლეობისაგან ამ მიწა-წყლის „გაწმენდა“ იყო საჭირო.

1864 წლის ივლისში ცარიზმმა აფხაზეთის სამთავრო გააუქმა და უშუალო რუსული მმართველობა შემოიღო. იმავდროულად, რუსეთის ჯარის ნაწილებმა აფხაზეთის მთის თემი ფსხუ, მდ. ბზიფის ზემო წელში, დაიკავეს, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობა — 3500 კაცი თურქეთში გადასახლეს. ამის შედეგად მდ.ბზიფის ზემო წელი მთლიანად დაცარიელდა (ბ.ხორავა, 2004: 61). აფხაზეთის სამთავროს გაუქმების შემდეგ შეიქმნა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომლის უფროსად ამ მხარეში განლაგებული რუსეთის ჯარების სარდალი დაინიშნა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში გადაასახლეს, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. მისი ნეშტი აფხაზეთში ჩამოსვენეს და მოქვის ტაძარში დაკრძალეს. საფლავს ქართული წარწერა ამკობს, რაც შარვაშიძეთა სამთავრო სახლის კულტურულ-პოლიტიკურ ორიენტაციასზე ნათლად მეტყველებს.

1865 წლის სტატისტიკური მონაცემებით („Кавкази, 1866) აფხაზეთის მოსახლეობის რაოდენობა ოლქების მიხედვით ასეთი იყო:

სოხუმის ოკრუგი	2 826 ოჯახი	16 475 სული
ბზიფის „—“	3 726	20 090
აბჟუის „—“	5 049	32 182
წებელდა	1 436	10 443
სულ	13 037	79 190

1866 წელს ცარიზმის კოლონიზატორული პოლიტიკის წინააღმდეგ აფხაზები აჯანყდნენ, რომელიც იმპერიის ხელისუფლებამ სასტიკად ჩაახშო. აჯანყების ჩახშობის შემდეგ ხელისუფლებამ გადაწყვიტა თურქეთში გაესახლებინა მის მიმართ განსაკუთრებით მტრულად განწყობილი მუსლიმანი და წარმართი აფხაზები, პირველ რიგში, კოდორის ხეობიდან და შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან. იმავდროულად, ცარიზმმა 1866 წელს აფხაზეთში ახალი ადმინისტრაციული რეფორმა გაატარა. იმის გამო, რომ გადაწყვეტილი იყო შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მდ.ენგურის შესართავამდე კოლონიზაცია კაზაკ-რუსებით, ქართული ოლქი სამურზაყანო (ამჟ. ვალის რაიონი) აფხაზეთს შეუერთეს.

1867 წელს ცარიზმმა აფხაზეთიდან ძალდატანებით გაასახლა 3 358 ოჯახი, 19 342 სული. მუჰაჯირობის შემდგომი სტატისტიკური მონაცემებით (1867წ.) აფხაზეთის მოსახლეობა 64 933 შეადგენდა. აქედან 22 ათასი სამურზაყანოს (ოქუძის ოლქის) ქართული მოსახლეობა იყო. ქართველები ცხოვრობდნენ აფხაზეთის სხვა მხარეებშიც. თითქმის მთლიანად დაიცალა კოდორის შუა და ზემო წელი — წებელდა და დალი. ჯამ თემების 15 ათასიანი მოსახლეობა თავიანთი სამკვიდროდან აყარეს და უცხოეთში გადაასახლეს (ბ.ხორავა, 2004: 69-74). 1868 წლის მონაცემებით, წებელდაში სულ 13 ოჯახი ცხოვრობდა, ხოლო დალში — არცერთი (Сборник, 1869: 39).

1877 წლის აპრილში რუსეთ-თურქეთის ახალი ომი დაიწყო, რომლის ასპარეზი კავკასიაც გახდა. ცარიზმის კოლონიური რეჟიმით გამოწვეულმა უკმაყოფილებამ ამ დროისათვის აფხაზეთში კულმინაციას მიაღწია და აჯანყებამ იფეთქა. ასეთ რთულ ვითარებაში აფხაზეთში თურქული დესანტი გადმოსხდა, რომელიც ძირითადად აფხაზი მუჰაჯირებისაგან შედგებოდა. მაისში თურქებმა თითქმის მთელი აფხაზეთი დაიკავეს. იმავდროულად, აჯანყებული აფხაზები თურქთა დესანტს შეუერთდნენ. მაგრამ მალე, ივლისში, რუსეთის ჯარის ნაწილები შეტევაზე გადავიდნენ და უკვე აგვისტოში მთელი მხარე გაწმინდეს თურქებისაგან. აფხაზეთიდან გაქცევისას თურქებს აფხაზთა ნაწილიც გაჰყვა, მაგრამ მათი მეტი ნაწილი, აგრეთვე მცირე რაოდენობით ქრისტიანი ქართველები და ბერძნები ძალით წაიყვანეს. სულ მუჰაჯირობაში ამ დროს დაახლოებით 32 ათასი სული წავიდა. თუკი ადრე აფხაზეთის მთის თემები — ფსხუ, წებელდა, დალი, — დაიცალა, ახლა თითქმის მთლიანად დაცარიელდა აფხაზეთის სანაპირო ზოლი (ბ.ხორავა, 2004: 79-82).

მუჰაჯირობა იყო ცარიზმის მიერ კავკასიის ომში წარმოებული გენოციდის პოლიტიკის გაგრძელება, ეთნოციდი, რამაც ამ მხარეში ეთნოდემოგრაფიული ვითარება რადიკალურად შეცვალა. აფხაზები, ფაქტობრივად, ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დადგნენ. ეს საფრთხე თავიდან ვერ აიცილეს და ისტორიის ასპარეზიდან გაქრნენ ქართველთა უახლოესი მეზობლები — ჯიქები და უბიხები. ქართველი საზოგადოებრიობა დიდი თანაგრძნობით შეხვდა აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა ტრაგედიას. XIX საუკუნის გამოჩენილმა ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა:



გრ.ორბელიანი, ი.ჭავჭავაძემ, აკ.წერეთელმა, ზ. ჭიჭინაძემ, პ. ჭარაიამ, ნ. ჯანაშიამ, ი. მეუნარგიამ, თ. სახოკიამ და სხვებმა გულწრფელი თანაგრძნობა გამოხატეს აფხაზთა და კავკასიელ მთიელთა მუჰაჯირობის გამო.

ცარიზში შეეცადა აფხაზეთში რუსები ჩაესახლებინა, მაგრამ ისინი ხალხით სულაც არ მოდიოდნენ ამ მხარეში: უჭირდათ ადგილიდან დაძვრა, აშინებდათ გადასახლების სირთულე, ბუნებრივ-კლიმატური პირობები და სხვ. ასეთ ვითარებაში, დასავლეთ საქართველოდან მიწის სიმწირითა და სივიწროვით სულშეხუთული მოსახლეობა გადმოდიოდა და მკვიდრდებოდა აფხაზეთში, ამრობდა ჭაობებს, კაფავდა ბუჩქნარებს და მეურნეობას მისდევდა. ქართველი საზოგადოებრიობა თვლიდა, რომ დაცარიელებული აფხაზეთისთვის საუკეთესო კონტინგენტს შეადგენდნენ დასავლეთ საქართველოს მხარეების: სამეგრელოს, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის მკვიდრნი. ამასთან, ეს იქნებოდა ისტორიული სამართლიანობის აღდგენაც — ქართველების დაბრუნება თავიანთ ისტორიულ მიწა-წყალზე. მიუხედავად ხელისუფლების წინააღმდეგობისა, ქართველები მაინც დამკვიდრდნენ აფხაზეთში: სანაპირო ზოლში — მეგრელები, გორაკ-ბორცვიან ადგილებში — რაჭველები და ლეჩხუმელები, მთიან ნაწილში, — კოდორის ზემო წელში — სვანები. ქართველების დამკვიდრება აფხაზეთში ხელისუფლების შემფოთებას იწვევდა, ამიტომ, რაკი რუსები ნაკლებად მოდიოდნენ, ცარიზმმა არჩევანი უცხოელებზე (სლავები, სომხები, ბერძნები და სხვ.) შეაჩერა.

ცარიზმის პოლიტიკა აფხაზეთში მიმართული იყო აფხაზთა და ქართველთა წინააღმდეგ. იგი ცდილობდა არ დაეშვა აფხაზეთის ქართულ ეთნო-კულტურულ სივრცეში დაბრუნება. 1877 წლის ანტიცარისტული აჯანყების გამო 1880 წელს აფხაზებს „დამნაშავე მოსახლეობის სტატუსი მიენიჭათ. მათ ჩამოართვეს მიწაზე საკუთრების უფლება და აუკრძალეს აფხაზეთის სანაპირო ზოლში დასახლება. „დამნაშავე მოსახლეობის სტატუსი აფხაზებს მხოლოდ 1907 წელს მოუხსნეს. 1879 წელს ხელისუფლებამ სამი წლით მუჰაჯირების ნაწილობრივი რეპატრიაცია დაუშვა. ამის შედეგად, 1881 წლისთვის 15 ათასამდე მუჰაჯირი სამშობლოში დაბრუნდა (Г.А.Дзидзария, 1982: 384-385).

1886 წელს რუსეთის სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით შედგა ამიერკავკასიისა და, ნაწილობრივ, ჩრდილოეთ კავკასიის მოსახლეობის საოჯახო სიები. მოსახლეობის ამ აღწერის თანახმად, აფხაზეთის მოსახლეობა 67 371 კაცს შეადგენდა. მათ შორის, აფხაზი — 28 320, ქართველი — 34 078, რუსი — 1241, სომეხი — 1037, ბერძენი — 2056 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ქ. სოხუმში სამი აფხაზი ცხოვრობდა — 1 ქალი და 2 მამაკაცი (Свод..., 1893).

1897 წლის სრულიად რუსეთის მოსახლეობის პირველი აღწერის მიხედვით, აფხაზეთში ცხოვრობდა 106 179 კაცი, მათგან: აფხაზი — 39.6; ქართველი — 44.8; რუსი 6.0; სომეხი — 6.5; ბერძენი — 5.4 ათასი (Первая..., 1905).

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, აფხაზეთის მოსახლეობის საერთო რაოდენობაში აფხაზების ხვედრითი წილის გაზრდის მიზნით, უხეში ადმინისტრაციული ზეწოლით, ქართველებს აიძულებდნენ აფხაზებად ჩაწერილიყვნენ. 1926 წლის მოსახლეობის საკავშირო აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის მოსახლეობამ 201 016 შეადგინა. მათგან, ქართველი — 67 494, აფხაზი — 55 918, რუსი — 12 553, ბერძენი — 14 045, სომეხი — 25 677 იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ 9 ათასი აფხაზი მშობლიურ ენად ქართულს აღიარებდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ქართველად არ ჩაწერილა (ა.თოთაძე, 1995: 88).

1937-1953 წწ. აფხაზეთში, საკოლმეურნეო მშენებლობასთან დაკავშირებით, დასავლეთ საქართველოს მცირემიწიანი რაიონებიდან მოსახლეობის ჩასახლება მიმდინარეობდა, თუმცა მას არ ჰქონია ინფილტრაციის ხასიათი. ქართველების ჩასახლება გამოუყენებელ მიწის მასივებზე მოხდა. იმავდროულად, მიმდინარეობდა რუსების, უკრაინელების, სომხების და სხვ. შემოდინების პროცესი. ეს ფაქტი გამოწვეული იყო ობიექტური რეალობით: ინდუსტრიალიზაციის კურსის გატარება — სამრეწველო საწარმოების შექმნა, მხარის ბუნებრივი სიმდიდრეების ათვისება, პირველ რიგში, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების ექსპლოატაციაში შესვლა, — მხარის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება ავტონომიური რესპუბლიკის გარედან მუშახელსა და კვალიფიციურ საინჟინრო-ტექნიკურ კადრებს მოითხოვდა. ამის გამო აფხაზეთა ხვედრითი წილი რესპუბლიკის მოსახლეობაში მნიშვნელოვნად შემცირდა.

აფხაზეთის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში ძირითადი ცვლილებები სწორედ 1926-1959 წწ. მოხდა. მოსახლეობის საერთო რაოდენობაში მნიშვნელოვნად შემცირდა ქართველებისა და აფხაზების ხვედრითი წილი, ხოლო სომხებისა (3-ჯერ) და რუსების (6-ჯერ) გაიზარდა. ასეთი ტენდენცია შემდეგ წლებშიც შეიმჩნეოდა (ა.თოთაძე, 1995: 104). საერთოდ, 1886 წლიდან 1989 წლამდე, აფხაზეთში რუსების რაოდენობა 60-ჯერ, სომხების კი 70-ჯერ გაიზარდა.

აფხაზეთის 1992-1993 წწ. ომში აფხაზმა სეპარატისტებმა ქართულ მოსახლეობას გენოციდი მოუწყვეს. ისევე, როგორც გვიან შუა საუკუნეებში, განხორციელდა მხარის ეთნოწმენდა. აფხაზეთის 300 ათასამდე მცხოვრები, მათ შორის, 240 ათასი ქართველი, დევნილად იქცა; იმავდროულად, ომის, ომისშემდგომი ეკონომიკური და პოლიტიკური ქაოსის, მიმე საყოფაცხოვრებო პირობებისა და სხვათა გამო, სხვა ეროვნებების წარმომადგენლები — ბერძნები, ებრაელები, ესტონელები, რუსები... იძულებულნი გახდნენ, მშობლიური კერა დაეტოვებინათ. დაახლოებით 30 ათასმა აფხაზმაც დატოვა სამშობლო და დსთ-ს ქვეყნებში (ძირითადად, რუსეთსა და უკრაინაში) გადასახლდა. ამჟამად, აფხაზეთის მოსახლეობა დაახლოებით 200 ათასს შეადგენს. მათ შორის, აფხაზი — 55, ქართველი — 40 (ძირითადად გალის რაიონში), რუსი — 35, სომეხი — 70 ათასია (თ.ნადარეიშვილი, 2002). პოსტკონფლიქტურ აფხაზეთში ქართული მოსახლეობა ძირითადად კოდორის ზემო წელსა და გალის რაიონში დარჩა. ამასთან, ამ უკანასკნელ რეგიონში, ქართული მოსახლეობა სეპარატისტების პერმანენტული ტერორისა და ძალადობის პირობებში ცხოვრობდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, როდესაც რუსეთის ჯარის ნაწილები და აფხაზი სეპარატისტები კოდორის ზემო წელს — ზემო აფხაზეთს (ისტორიული დალი) დაეუფლნენ, ადგილობრივმა მოსახლეობამ (2 600 კაცი) ხეობა დატოვა და დევნილად იქცა.

ამრიგად, აფხაზეთში ეთნო-დემოგრაფიული ვითარების რადიკალური შეცვლა მოხდა გვიან შუა საუკუნეებში, შემდეგ რუსეთის (ცარიზმის) ბატონობისა და საბჭოთა ხელისუფლების დროს, როდესაც იმპერიული ხელისუფლებისა და აფხაზი სეპარატისტების მიერ ქართველთა და ანტიიმპერიულად განწყობილ აფხაზთა გენოციდი განხორციელდა.

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. ა.თოთაძე, 1995 — ა. თოთაძე, აფხაზეთის მოსახლეობა. ისტორია და თანამედროვეობა, თბ., 1995.
2. იოანე დრასხანაკერტელი, 1965 — იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია, თბ., 1965.
3. მ. ლორთქიფანიძე, 1990 — მ. ლორთქიფანიძე, აფხაზები და აფხაზეთი, თბ., 1990.
4. თ. ნადარეიშვილი, 2002 — თ.ნადარეიშვილი, შეთქმულება საქართველოს წინააღმდეგ, თბ., 2002.
5. საქართველოს სიძველენი, 1920 — საქართველოს სიძველენი, ტ.1, ტფ., 1920.
6. ქართული სამართლის ძეგლები, 1970 — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, თბ., 1970.
7. „ქართლის ცხოვრება“, 1955 — „ქართლის ცხოვრება“,ტ.1, თბ.,1955.
8. თ. ყაუხჩიშვილი, 1976 — თ. ყაუხჩიშვილი, საქართველოს ისტორიის ძველი ბერძნული წყაროები, თბ., 1976.
9. ბ. ხორავა, 1996 — ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა, XV-XVIII სს. თბ., 1996.
10. ბ. ხორავა, 2004 — ბ. ხორავა, აფხაზთა 1867 წლის მუჰაჯირობა, თბ., 2004.
11. ს.ჯანაშია, 1988 — ს.ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე, კულტურულ-ისტორიული ნარკვევი, თბ., 1988.
12. Акты, 1881 — Акты собранные Кавказской археографической комиссией, т.VIII, Тифлис, 1881.
13. З.В.Анчабадзе, 1959 — З.В.Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии (VI-XVIIвв.), Сухуми, 1959.
14. Г.А.Дзидзария, 1982 — Г.А.Дзидзария, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1982.
15. История СССР, 1967 — История СССР с древнейших времен до наших дней, т.IV, М.,1967.
16. „Кавказ“, 1866 — „Кавказ“, 1866, №76.
17. В. О. Ключевский, 1956 — В. О. Ключевский, Сочинения, т. I, М.,1956.
18. К.В. Ломтатидзе,1967 — К.В. Ломтатидзе, Абхазский язык. Языки народов СССР, 4, М.,1967.
19. Ш.Б.Ногмов, 1970 —Ш.Б.Ногмов, История адыгейского народа, Нальчик, 1970.
20. П.И.Пестель,1906 — П.И.Пестель, Русская правда, СПб., 1906.
21. Первая,1905 — Первая всеобщая перепись населения Российской империи, 1897г. СПб., 1905.
22. Сборник, 1869 — Сборник статистических сведений о Кавказе, т.I, Тифлис, 1869.
23. Свод, 1893 — Свод статистических данных о населении Закавказского края, Тифлис, 1893.
24. Р.Фадеев, 1865 — Р.Фадеев, Письма с Кавказа, СПб., 1865.



## აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი 1917-1937 წლებში

1917 წ. თებერვლის დემოკრატიული რევოლუციის შედეგად ვითარება შეიცვალა მთელს რუსეთის იმპერიაში, შესაბამისად, ცვლილებები განხორციელდა სამხ. კავკასიაშიც. აქ შეიქმნა რუსეთის დროებითი მთავრობის ადგილობრივი ორგანო ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა სოხუმის, ბათუმისა და ყარსის ოლქებიდან არჩეული რუსეთის IV სახელმწიფო სათათბიროს წევრი, აფხაზეთის (სამურზაყანოს) მკვიდრი აკაკი ჩხენკელი. სოხუმის ოლქი (აფხაზეთი), როგორც ადმინისტრაციული ერთეული, რჩებოდა ამიერკავკასიის შემადგენლობაში და მას 1917 წ. 10 მარტს რეგიონის მოსახლეობის წარმომადგენელთა თათბირზე ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი უსაფრთხოების დროებითი საოლქო კომიტეტი (თავ-რე ალ. შარვაშიძე) მართავდა. 1917 წ. 2 ივლისს სოხუმის საოლქო სათათბიროს არჩევნები გაიმართა. 30 მანდატიდან 18 სოციალ-დემოკრატებს ერგოთ. არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, ჯერ მოხდა საოლქო კომიტეტის რეორგანიზაცია, ხოლო 1917 წ. 12 ოქტომბერს გაიმართა აღმასრულებელი ხელისუფლების — საოლქო კომიტეტის არჩევნები. კომიტეტის თავმჯდომარე ვ. შარვაშიძე გახდა (ნარკვევები..., 2007: 285).

აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილისაგან განსხვავებით, საკუთრივ აფხაზთა პოლიტიკური ლიდერების უმრავლესობა თანაუგრძნობდა ჩრდილო კავკასიელ მთიელთა გამაერთიანებელ მოძრაობას. 1917 წ. მაისში შეიქმნა გაერთიანებულ მთიელთა კავშირი და მისი მთავრობა — ცენტრალური კომიტეტი. იმავე წლის 20 ოქტომბერს მთიელთა კავშირმა კაზაკთა რადასთან ერთად ჩამოაყალიბა სამხრეთ-აღმოსავლეთ კავშირი, რომლის შემადგენლობაში დასახელებულია სოხუმის ოლქის მთიელი ხალხი (აფხაზები) (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 389).

აფხაზეთში მივლინებული მთიელთა კავშირის წარმომადგენლის ა. შერიპოვის რჩევითა და ძალისხმევით 1917 წ. 7-8 ნოემბერს სოხუმში გაიმართა აფხაზი ხალხის ყრილობა. მის მიერ მიღებულ დეკლარაციაში ნათქვამია, რომ აფხაზი ხალხი შედის ჩრდილოეთ კავკასიის, დაღესტნისა და აფხაზეთის გაერთიანებულ მთიელთა კავშირში (აფხაზეთისა..., 2004: 11). ყრილობამ აირჩია აფხაზთა სახალხო საბჭო და დაამტკიცა მისი კონსტიტუცია. სახალხო საბჭო წარმოადგენდა აფხაზი ხალხის (და არა აფხაზეთის) ნების გამოხატველ ეროვნულ-პოლიტიკურ ორგანოს. მან მიაგლინა საკუთარი წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიის მთიელთა კავშირის მთავრობაში. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მთიელებთან აფხაზი ხალხის სახელით პოლიტიკური კავშირის დამყარება სულაც არ ნიშნავდა აფხაზეთის გაერთიანებას ჩრდილოეთ კავკასიის შემადგენლობაში. ადმინისტრაციულად სოხუმის ოლქი კვლავაც ამიერკავკასიის ნაწილად რჩებოდა, ამიტომაც აფხაზეთის სახალხო საბჭოს კონსტიტუცია აღიარებდა ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების კომპეტენციას და მოითხოვდა, რომ ამ სტრუქტურების საქმიანობა წარმოებულყო სახალხო საბჭოსთან კონტაქტში ნაყოფიერი შედეგების მიღწევის ინტერესებისათვის (აფხაზეთისა..., 2004: 9).

აფხაზეთზე პრეტენზიას არც მთიელთა კავშირი და მისი მთავრობა

აცხადებდნენ, რაც კარგად ჩანს ამ მთავრობის 1917 წ. 4 დეკემბრის №1 დეკრეტიდან, რომელიც ნათქვამია: ზაქათალისა და სოხუმის ოლქების მიმართ მთიელთა დროებით მთავრობას ძალაუფლება აქვს ეროვნული და პოლიტიკური ხასიათის საკითხებში, ხოლო მთიელთა მთავრობის სახელმწიფოებრივი ძალაუფლების ახლავე და მთლიანად გავრცელება ამ ოლქებზე გადასაწყვეტად მიენდოს ზაქათალისა და სოხუმის ოლქების სახალხო საბჭოებს (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 397).

არც 1917 წელს და არც მომდევნო წლებში აფხაზთა სახალხო საბჭოს, როგორც რეგიონის რეალურ ხელისუფლებას, არ მიუღია გადაწყვეტილება აფხაზეთზე მთიელთა ძალაუფლების გავრცელების შესახებ.

1917 წ. 7 ნოემბერს პეტერბურგში განხორციელებულ ბოლშევიკურ სახელმწიფო გადატრიალებას ამიერკავკასიაში სახელისუფლებო სტრუქტურების რეორგანიზაცია მოჰყვა. 1917 წ. 11 ნოემბერს ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი დროებითა მთავრობამ — კომისარიატმა შეცვალა. ახალ მთავრობას სათავეში ე.გეგეჭკორი ჩაუდგა. ბოლშევიკების მიერ 1918 წ. 18 იანვარს დამფუძნებელი კრების ძალით გარეკვის შემდეგ ამიერკავკასიის კომისარიატმა კურსი დამოუკიდებლობისაკენ აიღო. 1918 წ. 10 თებერვალს რუსეთის დამფუძნებელი კრების წევრებმა ამიერკავკასიიდან ჩამოაყალიბეს ამიერკავკასიის სეიმი (პარლამენტი), რომელმაც იმავე წლის 9 აპრილს დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შექმნა მთავრობა აკ. ჩხენკელის თავმჯდომარეობით. აფხაზეთი ამჯერადაც ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენდა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი მოწყობის პარალელურად მიმდინარეობდა მასში შემაჯავლი ხალხების, მათ შორის ქართველების, აფხაზების და სხვათა თვითგამორკვევის პროცესი. 1918 წ. 9 თებერვალს ამ პროცესის ფარგლებში თბილისში გაიმართა საქართველოს ეროვნულ საბჭოსა (არჩეულ იქნა I ეროვნულ ყრილობაზე 1917 წ. 19-23 ნოემბერს) და აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენელთა შეხვედრა, რომელმაც, განიხილა რა საკითხი „საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობათა დამყარების შესახებ“, შეიმუშავა შემდეგი შეთანხმება:

1. „აღდგეს ერთიანი განუყოფელი აფხაზეთი საზღვრებში მდინარე ენგურისა და მზიმთამდე, რომლის შემადგენლობაში შევა საკუთრივ აფხაზეთი და სამურზაყანო — ამჟამინდელი სოხუმის ოლქი“ (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 402).

აფხაზეთის მომავალი პოლიტიკური მოწყობის ფორმა დემოკრატიულ საწყისებზე არჩეულ აფხაზეთის დამფუძნებელ კრებას უნდა გადაეწყვიტა. აფხაზეთის აღდგენა შეთანხმებაში მითითებულ ფარგლებში მოხდებოდა მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამურზაყანოს წარმომადგენელთა განცხადებით, „სამურზაყანო, როგორც აფხაზეთის ნაწილი, აფხაზებს არ გაჰყვება, თუ საქართველოსთან არ იქონიებს ზნეობრივ-პოლიტიკურ კავშირს“ (აფხაზეთისა..., 2004: 14).

რუსეთის შემადგენლობაში აფხაზეთის ცალკე ერთეულად შესვლის შემთხვევაში ასევე შეუძლებელი იქნებოდა სოხუმის ოლქისაგან 1904 წ. 25 დეკემბერს ჩამოჭრილი გავრის ზონის კვლავ აფხაზეთის ფარგლებში დაბრუნების თაობაზე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის 1917 წ. 30 ოქტომბრისა და ამიერკავკასიის კომისარიატის 1917 წ. 7 დეკემბრის გადაწყვეტილებათა შესრულება (აფხაზეთისა..., 2004: 7-8, 13).



1918 წ. 9 თებერვლის შეთანხმება წარმოადგენდა ერთ ნაბიჯს აფხაზეთის საქართველოსთან გაერთიანებისკენ. მორიგი ასეთი ნაბიჯი გადადგა სოხუმის ოლქის გლეხთა II ყრილობამ (1918 წ. 4-9 მარტი), რომელმაც გადაწყვიტა, რომ აფხაზეთი შევიდეს ამიერკავკასიელი ერების საერთო ოჯახში, როგორც მისი თანასწორუფლებიანი წევრი და თავისი მომავალი დემოკრატიულ საქართველოს დაუკავშიროს (Дж. Гамахария, Б. Гогия. Абхазия..., 1997: 409).

რუსეთში ხელისუფლების სათავეში მოსულ ბოლშევიკებს ხელს არ აძლევდათ აფხაზეთში პოლიტიკური პროცესების მშვიდობიანი წარმართვა, ამიტომ 1918 წ. ზამთარსა და გაზაფხულზე ორჯერ სცადეს რეგიონის ხელში ჩაგდება და საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, მაგრამ უშედეგოდ. ამიერკავკასიის სეიმისა და მთავრობის გადაწყვეტილებით ქართულმა ეროვნულმა გვარდიამ 1918 წ. 17 მაისს და მომდევნო დღეებში აფხაზეთი გაათავისუფლა ბოლშევიკური ოკუპაციისაგან, აღადგინა დამპყრობლების მიერ ძალით დაშლილი აფხაზეთა სახალხო საბჭო. ამ უკანასკნელმა 1918 წ. 20 მაისს მიიღო რეზოლუცია, „რომლის მიხედვით კატეგორიულად მტკიცდება აფხაზეთა სახალხო საბჭოს და საოლქო გლეხთა საბჭოს (4-10 მარტი) გადაწყვეტილება, რომ აფხაზეთი შედის ამიერკავკასიის ხალხთა საზოგადო ოჯახში, როგორც მისი თანასწორი წევრი, რაც დაუყოვნებლივ ეუწყება ბათუმის საზავო კონფერენციას“ (საქართველო, 1918, 23). ასეთი რეზოლუციის მიღების აუცილებლობა განაპირობა იმ გარემოებამ, რომ 1918 11 მაისს ქ. ბათუმში გამოცხადდა მთიელთა კავშირის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა; ამიერკავკასიისთან და თურქეთთან ერთად იგი მონაწილეობდა ბათუმის საზავო კონფერენციის მუშაობაში. ბათუმში თვითნებურად ჩასული რამდენიმე აფხაზი მოღვაწე (ალ. შერვაშიძე და სხვ.) ამ მთიელთა რესპუბლიკასთან აფხაზეთის მიერთებას ითხოვდა. საჭირო იყო კონფერენციისათვის არა კერძო პირების, არამედ აფხაზეთის ნამდვილი წევრების გაცნობა. „საკუთარი დელეგატების პირით“ სწორედ ეს ნება გამოხატა სახალხო საბჭომ 1918 წ. 20 მაისს.

მიუხედავად ყოველივე ამისა, სეპარატისტული ისტორიოგრაფია ამტკიცებს, რომ მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების დღე — 1918 წ. 11 მაისი თითქოს არის „აფხაზეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის“ დღეც იმ მოტივით, რომ აფხაზეთი ვითომ შედიოდა იმ რესპუბლიკის შემადგენლობაში (О. Бгажба, С. Лакоба, 2006: 297-298). ჯერ ერთი, მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის მეორე პუნქტში, რომელიც ახლადდაფუძნებული სახელმწიფოს საზღვრებს ეხება, აფხაზეთი არც მოხსენიებულია და არც ნაგულისხმევი. მასში ნათქვამია მხოლოდ, რომ სამხრეთით რესპუბლიკის საზღვრების „დეტალები განისაზღვრება შეთანხმებით ამიერკავკასიის მთავრობასთან“ (აფხაზეთისა..., 2004: 15). არავითარი შეთანხმება მთიელთა რესპუბლიკისა და ამიერკავკასიის მთავრობებს შორის 11 მაისისთვის არსებული საზღვრების გადასინჯვის შესახებ არ მომხდარა. მეორე, გაუგებარია, 1918 წ. 11 მაისს როგორ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა ჯერ კიდევ ბოლშევიკური ოკუპაციის ქვეშ მყოფმა აფხაზეთმა? ცხადია, ეს ყველაფერი რუსეთისგან მართულ სეპარატისტთა შეთხზული მორიგი ტყუილია.

1918 წ. მაისში საერთაშორისო საკითხებზე არსებულ შიდაშეთანხმობათა გამწვავების გამო ამიერკავკასიის სახელმწიფო დაიშალა. იმავე წლის 26 მაისს ქართულმა საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გამოაცხადა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომლის მთავარი გარანტი გერმანია გახდა. გერმანიის

წარმომადგენელი ფონ-ლოსოვი 1918 წ. 28 მაისს საიდუმლო წერილში საქართველოს მთავრობისადმი აღნიშნავდა, რომ სოხუმის ოლქი გაგრის ჩათვლით შეადგენს საქართველოს ნაწილს მანამდე, სანამ კავკასიის ფარგლებში საქართველო იქნება დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველოს მონაწილეობით კავკასიელი ხალხების კონფედერაციის შექმნის შემთხვევაში, ფონ-ლოსოვის აზრით, სოხუმის ოლქის მოსახლეობას უნდა მისცემოდა ამ კონფედერაციის ფარგლებში საკუთარი მდგომარეობის განსაზღვრისა (А Ментешавили, 1998: 17-18).

1918 წ. 11 ივნისს საქართველოს მთავრობისა და აფხაზთა სახალხო საბჭოს წარმომადგენლებმა გააფორმეს ხელშეკრულება, რომელიც ქართული სახელმწიფოებრიობის წიაღში აფხაზეთის დაბრუნების საფუძველი გახდა. ხელშეკრულება ითვალისწინებდა აფხაზთა სახალხო საბჭოს წარდგინებით საქართველოს მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრის მიწვევას, რეგიონის შინაგანი მართვა-გამეგობის სახალხო საბჭოსთვის გადაცემას, საქართველოს მთავრობის მიერ აფხაზეთისათვის სახსრების გამოყოფას, სახალხო საბჭოს განკარგულებაში წითელი გვარდიის რაზმების გაგზავნას, აფხაზეთში სოციალური რეფორმების საქართველოს კანონების საფუძველზე, მაგრამ ადგილობრივი თავისებურებების გათვალისწინებით, გატარებას; ხელშეკრულების მიხედვით, ახლო მომავალში დემოკრატიულ საწყისებზე უნდა მოწვეულიყო აფხაზეთის მოსახლეობის ყრილობა „აფხაზეთის მოწყობასთან დაკავშირებული საკითხების საბოლოოდ გადაწყვეტისათვის“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 414).

1918 წ. 11 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე აფხაზეთი დე-ფაქტო საქართველოს ავტონომიური ერთეული გახდა. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოს მთავრობაში აფხაზეთის საქმეთა მინისტრად დანიშნული რ. ჩქოტუა 1918 წ. 20 სექტემბერს აფხაზთა სახალხო საბჭოს თავმჯდომარეს ვ. შარვაშიძეს წერდა: თუ აფხაზმა ხალხმა თავისი ბედი ავტონომიურ საწყისებზე ქართველ ხალხს დაუკავშირა, მაშინ საქართველოს მთავრობასთან ურთიერთობისათვის აუცილებელია უფრო ნათელი და არაორაზროვანი პირობების შემუშავება. იმავე დღეს რ. ჩქოტუამ საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ნ. ჟორდანიას წარუდგინა განცხადება, რომელშიც წერდა, რომ მიუხედავად გაფორმებული ხელშეკრულებისა (1918 წ. 11 ივნისი), ცალკეული სახელმწიფო „დაწესებულებები და თანამდებობის პირები აფხაზეთს უყურებენ არა როგორც ავტონომიურად შემავალს საქართველოს რესპუბლიკაში, არამედ როგორც ამ უკანასკნელის პროვინციას“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 753). იმ პერიოდის ბევრ სხვა ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დოკუმენტში აფხაზეთი საქართველოს ავტონომიის სტატუსით მოიხსენიება, რაც რეალურად შეესაბამება 1918 წ. 11 ივნისის ხელშეკრულების შედეგად მხარეებს შორის ფაქტობრივად ჩამოყალიბებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

რუსი შოვინისტები და გარედან მართული სეპარატისტები ძლიერ შეაფოთა აფხაზეთში მშვიდობისა და თანხმობის დამყარებამ. 1918 წ. ივნისში სოჭის მხრიდან აფხაზეთში რუსული ბოლშევიკური რაზმები კიდევ ერთხელ შემოიჭრნენ. აფხაზთა სახალხო საბჭოს თხოვნითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით გენერალ გ. მაზმიშვილის მეთაურობით სოხუმში გადასროლილმა სამხედრო რაზმმა არა მარტო აფხაზეთი გაათავისუფლა, არამედ 1918 წ. 26 ივლისს ქ. ტუაფსე დაიკავა, აგვისტოსათვის სოჭამდე დაიხია.

სეპარატისტულად განწყობილმა ჯგუფებმა მათთვის ხელსაყრელი ვითარება გამოიყენეს და 1918 წ. 27 ივნისს ანუ იმ დღეს, როცა გ. მაზმიშვილის

რაზმები შეტევებზე გადავიდნენ, აფხაზეთში თურქული დესანტი (თურქეთის არმიის მომსახურე აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები) შემოიყვანეს. ქართულმა ჯარებმა და ბოლშევიკურ სასაკლავო გამოქცეულმა რუსმა კაზაკებმა დესანტი გაანადგურეს. დაკარგეს რა წარმატების ყოველგვარი იმედი, სეპარატისტებმა ატეხეს განგაში გენ. გ. მაზნიაშვილის მიერ აფხაზეთის „ოკუპაციის“ თაობაზე. თეზისი ოკუპაციის შესახებ თანამედროვე სეპარატისტულმა ისტორიოგრაფიამაც აიტაცა (О. Бгажба, С. Лакоба, 2006: 307-308). იგი ბოლშევიკური წარმომობისაა. ჯერ კიდევ 1918 წ. მაისში, როცა ქართული გვარდია აფხაზეთიდან ერეკებოდა ბოლშევიკებს, ამ უკანასკნელებმა მიმართეს „ცილისწამებას“ ვითომც ქართველობა აფხაზეთის დასაპყრობად მოდიოდა (საქართველო, 1918, 1).

სეპარატისტები „ოკუპაციაში“ გულისხმობდნენ და გულისხმობენ გ. მაზნიაშვილის გენერალ-გუბერნატორად დანიშნვას, მის მიერ ვითომ მთელი ძალაუფლების მითვისებას. მართალია, გენერალს ჰქონდა გადაცდომები, რისთვისაც სახალხო საბჭომ მას მკაცრად მიუთითა, მაგრამ არ არსებობს ერთი ფაქტიც კი, რომელიც გ. მაზნიაშვილის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების მითვისებას დაადასტურებდა. მიუხედავად გადაცდომებისა გენერლის მხრიდან, აფხაზთა სახალხო საბჭო მხარს უჭერდა გ. მაზნიაშვილის შტაბს და კატეგორიულად არ ეთანხმებოდა სეპარატისტთა თუ ბოლშევიკთა მხარდამჭერი ელემენტების მოთხოვნებს ქართული ჯარების აფხაზეთიდან გაყვანის შესახებ. ასე, მაგალითად, 1918 წ. 17 ივლისს სახალხო საბჭომ განიხილა გ. მაზნიაშვილის შტაბისადმი ნდობის საკითხი და თითქმის ერთხმად (მხოლოდ ორმა თავი შეიკავა) გადაწყვიტა: „ხელახლა დადასტურდეს არაერთი ჩვენი გადაწყვეტილება და ითქვას საქართველოს (სამხედრო) ნაწილების აქ ყოფნის აუცილებლობის შესახებ“ (ჯ. გამახარია, 1991გვ. 62).

საქართველოს მთავრობის წარმომადგენელმა ის. რამიშვილმა 1918 წ. 18 ივლისს აფხაზეთიდან ქართული ჯარების გაყვანის საკითხი სახალხო საბჭოში დასვა, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული პროვოკაციები ანტიდემოკრატიული ძალების (სეპარატისტების, ბოლშევიკების, თურქოფილების) მხრიდან. „უმოკლესა დროულად გავიყვანოთ ჯარები, ვიდრე ველოდოთ სისხლისღვრას, — განაცხადა მან“ (ჯ. გამახარია, 1991: 62-63). ის. რამიშვილს სახალხო საბჭოს არც ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა. დისკუსია ამ საკითხზე გაგრძელდა 19-20 ივლისს სხდომაზეც, სადაც დ. მარშანიამ ასეთი განცხადება გააკეთა: „მოლაღატური ნაბიჯები ჩვენი მხრიდან არ შეიძლება იყოს, ვინაიდან ქართული ნაწილები მოწვეულია მძიმე წუთებში ჩვენთვის დახმარების გასაწევად და საერთოდ ქართველებთან ჩვენ ყოველთვის მეგობრულად ვცხოვრობდით. არიან ადამიანები, რომელთაც სურთ წაგვკიდონ ქართველებთან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვინდა“ (ჯ. გამახარია, 1991: 65). ასეთი იყო საქმის რეალური ვითარება — „ოკუპანტებს“ სურდათ აფხაზეთიდან გასვლა, „ოკუპირებულები“ კი გადაწყვეტილებას გადაწყვეტილებაზე იღებდნენ ქართული ჯარების აფხაზეთში დასატოვებლად. აფხაზთა სახალხო საბჭო, რომელსაც ვითომ პოლიტიკური ძალაუფლება ჩამოართვა გ. მაზნიაშვილმა, მიუხედავად მცირე გაუგებრობებისა, მხარს უჭერდა ქართული ჯარების აფხაზეთში ყოფნას, ვინაიდან ისინი წარმოადგენდნენ მშვიდობის, სტაბილურობის, რეგიონის მთლიანობისა და ავტონომიურობის მთავარ გარანტს. ამიტომაც ს. ჩერვონნიამ „ოკუპაცია-ანექსიის“ სეპარატისტულ-მოვინისტურ თეორიას სავსებით მართებულად უაზრო და უცნაური უწოდა (С. Червонная, 1993: 39).

1918 წ. ივლის-აგვისტოში ბოლშევიკური და სეპარატისტული ძალების ავანტიურის აღკვეთამ შექმნა წინაპირობები აფხაზეთში ადგილობრივი

ხელისუფლების განმტკიცებისათვის. ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა აფხაზთა სახალხო საბჭოს შექმნის შემდეგ ეროვნული ნიშნით შექმნილი და აფხაზეთში მოქმედი სხვა საბჭოების (ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა, რუსთა, ესტონელები და ა.შ.) წარმომადგენლების შეყვანა, ამით მისი ლეგიტიმურობის ხარისხისა და გავლენის გაზრდა. სახალხო საბჭოს რეორგანიზაცია, რომელიც 1918 წ. 15 აგვისტოსათვის დასრულდა, სეპარატისტებმა აფხაზთა სახალხო საბჭოს გარეგანად შეარქვეს. ამ სიცრუეს დღემდე იმეორებს აფხაზური ისტორიოგრაფია (O. Бгажба, С. Лакоба, 2006: 314).

1918 წ. აგვისტოდან სეპარატისტებმა გეზი სოჭთან მომდგარ ანტიბოლშევიკურ სამხედრო ძალაზე- თეთრგვარდიელებზე (მ.ალექსევი, ა. დენიკინი) აიღეს. სწორედ მათი წაქეზებითა და მხარდაჭერით 1918წ. 9 ოქტომბერს სეპარატისტებმა სოხუმში სცადეს პოლიტიკური გადატრიალების მოწყობა, ძალის გამოყენებით სახალხო საბჭოს ხელმძღვანელობის გადაყენება. მცდელობა ჩაიშალა. სახალხო საბჭოს თავმჯდომარის ვ.შარვაშიძისა და საბჭოს სხვა წევრების თხოვნით, საქართველოს მთავრობამ 1918 წ. 10 ოქტომბერს სახალხო საბჭო დაითხოვა, დანიშნა არჩევნები, შეთქმულები კი დააპატიმრა. ახალი სახალხო საბჭოს დემოკრატიული წესით არჩევნებამდე მთელი ძალაუფლება სოხუმის ოლქის კომისრად დანიშნული ბ.ჩხიკვიშვილის (სოხუმის ყოფილი ქალაქის თავი) ხელში გადავიდა (ნარკვევები..., 2007: 296-297).

1918 წ. 27 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა აფხაზეთის საარჩევნო დებულება, რომელიც მოამზადა საარჩევნო კომისიამ ვ.შარვაშიძის თავმჯდომარეობით. პირველად აფხაზეთის ისტორიაში ტარდებოდა „საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი“ არჩევნები „ფართული კენჭისყრით პროპორციული წარმომადგენლობის საწყისებზე“. არჩევნებზე მონაწილეობის უფლებით სარგებლობდნენ პირები, რომლებმაც აფხაზეთში ბინადრობის უფლება 1914 წ. 19 ივლისამდე (პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე) მოიპოვეს; სახალხო საბჭოში არჩევნის უფლება აფხაზეთში არმოსახლე საქართველოს ქვეშევრდომებსაც ეძლეოდათ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 426).

წინასაარჩევნო კამპანია დროში დაემთხვა სოჭსა და გაგრაში შემოჭრილი რუსი თეთრგვარდიელების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის პერიოდს, როცა მტერმა მდ. ბზიფზე გამაგრება მოახერხა. მიუხედავად ამისა, 1919წ. 13 თებერვალს სახალხო საბჭოს არჩევნებმა ორგანიზებულად ჩაიარა. არჩევნების დემოკრატიულობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მასში მონაწილეობა მიიღეს ვადაზე ადრე გათავისუფლებულმა სოხუმში 9 ოქტომბრის ავანტიურის მოთავეებმაც კი. აფხაზთა სახალხო საბჭოში 40 დეპუტატი აირჩიეს, რომელთა შორის იყო 27 სოციალ-დემოკრატი, 4 - დამოუკიდებელი სოციალისტი, 3 - ესერი, 3 - მემარჯვენე, თითო დეპუტატი გაიყვანეს სოციალისტ-ფედერალისტებმა, ეროვნულ-დემოკრატებმა და კოლონისტებმა. ერთდროულად ჩატარდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებიც (1919 წ. 14-16 თებერვალი). გამარჯვებული სოციალ-დემოკრატიული პარტიის სიით აფხაზეთიდან ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს წევრები გახდნენ: დ. ემუხვარი, ვ. შარვაშიძე, ვ. ლურჯუა, დ. ზახაროვი და ი. ფაშალიძე (ნარკვევები..., 2007: 299).

ახლადარჩეული აფხაზთა სახალხო საბჭოს პირველი სხდომა 1919 წ. 18 მარტს გაიმართა, სადაც აირჩიეს თავმჯდომარე (დ. ემუხვარი), მოადგილე (მ. ბერულავა) და პირველი მდივანი (ვ. კოროლოვი). 20 მარტს შედგა მორიგი

სხდომა. მან მიიღო ისტორიული დოკუმენტი „აქტი აფხაზეთის ავტონომიის შესახებ“, რომლის პირველ პუნქტში ნათქვამია: აფხაზეთი შედის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში, როგორც მისი ავტონომიური ერთეული, რის შესახებაც ეცნობოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და მის დამფუძნებელ კრებას“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 433-434, 772-774). ამ დოკუმენტის მიღებით მოხდა რეგიონის თვითგამორკვევა. მოსახლეობის დიდი უმრავლესობის ნებით, საქართველოს ეს უძველესი მხარე, გარეშე მტრული ძალების მხრიდან მისი მიტაცების არაერთგზისი მცდელობის მიუხედავად, კვლავ საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნდა.

1919 წ. 8-10 აპრილის, 13 და 20 მაისის სხდომებზე სახალხო საბჭომ მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მართვის ორგანოების, პირველ რიგში კომისარიატის ( მთავრობის) შექმნის შესახებ, რომლის თავმჯდომარე გახდა დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი, სოხუმის ოლქს დაუბრუნდა ნამდვილი სახელი-აფხაზეთი, უბნებს ეწოდათ მაზრები, აფხაზეთა სახალხო საბჭოს - აფხაზეთის სახალხო საბჭო. 1919 წ. 20 მაისიდან ამ უკანასკნელს სათავეში კვლავ ვ. შარვაშიძე ჩაუდგა.

1919-1920 წლები იყო აფხაზეთის ავტონომიის ცხოვრებაში გატარების, სახელისუფლებო სტრუქტურების განმტკიცების, გაგრძიდან თეთრგვარდიელთა განდევნის (1919 წ. აპრილი), ბოლშევიკთა ძირგამომთხრელი საქმიანობის აღკვეთის, საქართველოს საზღვრების საერთაშორისო არენაზე აღიარების, კონსტიტუციის პროექტის შემუშავების საკმაოდ რთული პერიოდი.

ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის ინიციატივით მოკავშირე ქვეყნების (ანტანტის) უმაღლესი საბჭოს მიერ 1920 წ. 12 იანვარს საქართველოს დე-ფაქტო აღიარებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საბჭოთა რუსეთის მიერ 1920 წ. 7 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. ორ ქვეყანას შორის მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების თანახმად, რუსეთმა საქართველოს უდავო ტერიტორიებად ცნო ყოფილი იმპერიის შემადგენლობაში შემავალი სოხუმის ოლქი და გაგრის ზონა, რომელიც 1904-1917 წლებში სოჭის გუბერნიას ექვემდებარებოდა. „საქართველოსა და რუსეთს შორის სახელმწიფო საზღვარი გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოუს გაყოლებაზე ახახას მთამდე...“ - ნათქვამია ხელშეკრულებაში (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 458-459). რუსეთ-საქართველოს 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულება წარმოადგენდა სამართლებრივ გარანტიას ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება-განმტკიცებისათვის, თუმცა სულ მალე ნათელი გახდა, რომ საბჭოთა რუსეთს სრულიად საპირისპირო მიზნები ამოძრავებდა.

ყველაზე დიდ უთანხმოებას სახალხო საბჭოში და აფხაზეთის საზოგადოებაში იწვევდა კონსტიტუციის მიღების საკითხი. საკონსტიტუციო კომისია 1919 წ. 30 მარტიდან მუშაობდა, 23 მაისს იგი ორ ქვეკომისიად გაიყო და, შესაბამისად, ორი პროექტი მომზადდა. შემრიგებლური მესამე პროექტი შეადგინა აფხაზეთის კომისარიატის იურიდიულმა განყოფილებამ, რომელსაც გ. სიღამონ-ერისთავი ხელმძღვანელობდა. მათ შორის ვერც ერთმა ვერ მიიღო სახალხო საბჭოში ხმების აუცილებელი რაოდენობა, მაგრამ ყველაზე მეტი მოწონება (20 ხმა) შემრიგებლურმა პროექტმა დაიმსახურა. სახალხო საბჭოს 1919 წ. 15 ნოემბერს აფხაზეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მ. უბირია მოახსენებდა, რომ კონსტიტუციაზე მუშაობისას თავიდანვე წარმოქმნილ ორ მიმდინარეობას ერთმანეთისგან განასხვავებდა ისტორიული



მომენტისადმი, რეგიონის პოლიტიკურ-ეკონომიკური ამოცანებისადმი სხვადასხვა მიდგომები. ერთ მიმდინარეობას, მომენტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საჭიროდ მიაჩნდა აფხაზეთის რაც შეიძლება მალე საქართველოსთან შეერთება, რაც მისი უსაფრთხოების, მომავალში კი მხარის ეკონომიკურ-კულტურული განვითარების საწინდარი იქნებოდა. მეორე მიმდინარეობაც სცნობდა აფხაზეთის საქართველოსთან შეერთების აუცილებლობას, მაგრამ ისტორიული პერსპექტივის თვალსაზრისით მას უფრო მართებულად მიაჩნდა რესპუბლიკასთან რაც შეიძლება სუსტი კავშირის დამყარება, მეტი დამოუკიდებლობის მოპოვება, რაც ვითარების შეცვლის შემთხვევაში სხვა გადაწყვეტილების მიღების საშუალებას მისცემდა. სეპარატისტთა ერთი ნაწილი („ინტერნაციონალისტების“ ფრაქცია) არც მალავდა, რომ მომავალში იგი მხარს დაუჭერდა საქართველოსა და აფხაზეთის რუსეთთან მიერთებას ისე, რომ წინასწარ არ აყენებდა პირობებს რუსეთის შიგნით მათი პოლიტიკური მოწყობის შესახებ. ამიტომ ბრძოლა კონსტიტუციის გარშემო რეალურად ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციის მიზანს უფრო ემსახურებოდა, ვიდრე ნამდვილი თვითმმართველობის მოპოვებისათვის ზრუნვას. სახალხო საბჭოს წევრის მ.თარნავას თქმით, ავტონომიისა და კონსტიტუციის საკითხებზე საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებებში მონაწილეობა მიზნად ისახავდა მხოლოდ შეთანხმების ჩაშლას და მთავრობის კრიტიკას (ნარკვევები..., 2007: 306).

მიუხედავად სეპარატისტთა დესტრუქციული მიზნებისა, კონსტიტუციაზე მუშაობა არ შეწყვეტილა. 1919 წ. სექტემბერ-ოქტომბერში, როცა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია თბილისში იმყოფებოდა, დამფუძნებელი კრების ხუთკაციან კომისიასთან ერთად მოხერხდა რესპუბლიკასა და ავტონომიის შორის კონსტიტუციური შეთანხმების პროექტის („აფხაზეთის მართვა-გამგეობის ძირითადი დებულებების შესახებ“) მომზადება, რომელშიც აისახა ცენტრსა და რეგიონს შორის რეალურად ჩამოყალიბებული ურთიერთობები (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 451-452). მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტი არ იყო დამტკიცებული, იგი ფაქტობრივად არეგულირებდა სამართლებრივ ურთიერთობებს თბილისსა და სოხუმს შორის. დოკუმენტის მიხედვით, აფხაზეთი აღიარებული იყო საქართველოს ავტონომიურ ნაწილად, რომელსაც ჰყავდა თავისი საკანონმდებლო (სახალხო საბჭო) და აღმასრულებელი (კომისარიატი) ორგანოები. სახალხო საბჭო უფლებამოსილი იყო დამოუკიდებლად გამოეცა კანონები ყველა საკითხზე, გარდა ისეთი სფეროებისა, როგორცაა საგარეო პოლიტიკა, ჯარები (თავდაცვა), ნავსადგურების მართვა, საფინანსო, ფულადი, სავადასახადო და საბაჟო სისტემები, საერთო სასამართლოები და სენატი (უმაღლესი სასამართლო), სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და საერთოეროვნული კანონმდებლობა, ფოსტა, ტელეგრაფი, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის რკინიგზა და გზატკეცილები.

ხანგრძლივი მუშაობისა და თბილისთან კონსულტაციების (1920 წ. ზაფხული) შედეგად სახალხო საბჭომ 1920 წ. 16 ოქტომბერს მოახერხა კონსტიტუციის საკუთარი პროექტის დამტკიცება, რომელსაც საუფძვლად დაედო ზემოთხსენებული პროექტი „აფხაზეთის მართვა-გამგეობის ძირითადი დებულებების შესახებ“ . იმავე წლის 4 ნოემბერს კონსტიტუციური საკითხების განსახილველად თბილისში ჩამოვიდა აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია. მიუხედავად იმისა, რომ არც დამფუძნებელ კრებას, არც მთავრობას ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ აფხაზეთის ავტონომიური სტატუსი, ცენტრი მაინც არ ჩქარობდა რეგიონის კონსტიტუციის მიღებას რესპუბლიკის კონსტიტუციის



მიღებამდე. ხელშეშლელ ფაქტორად იქცა აგრეთვე ის გარემოება, რომ დამფუძნებელი კრება არ დაეთანხმა კრებისა და სახალხო საბჭოს პარიტეტული საკონსტიტუციო კომისიის შექმნას, როგორც ამას 1919 წ. 20 მარტის აქტი და დელეგაციის მანდატი ითვალისწინებდნენ. შექმნილი ვითარებით უკმაყოფილო აფხაზეთის დელეგაცია სოხუმში დაბრუნდა ნ.ჟორდანის დაპირებით, რომ აფხაზეთს სამართლებრივად ავტონომია მიეცემოდა საერთო კონსტიტუციის მიღების შემდეგ; თუ ქვეყნის ძირითადი კანონის მიღება გაჭიანურდებოდა, მაშინ გამოიცემოდა დროებითი კანონი აფხაზეთის მართვა-გამგეობის შესახებ, რომელიც შემდგომში ქვეყნის კონსტიტუციის ცალკე თავი გახდებოდა. ავტონომიური აფხაზეთის მართვა-გამგეობის დებულების პროექტი დამფუძნებელი კრების მცირე საკონსტიტუციო კომისიამ 1920 წ. 21 დეკემბერს დაამტკიცა. მას საფუძვლად დაედო აფხაზეთის სახალხო საბჭოს მიერ 1920წ. 16 ოქტომბერს მიღებული კონსტიტუციის პროექტი.

1921 წ. 21 თებერვალს, როცა მიმდინარეობდა საქართველოს ოკუპაცია რუსეთის მიერ, დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია, რომლის 107-ე მუხლით „საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელ ნაწილებს აფხაზეთს (სოხუმის ოლქი)“, აჭარასა და ზაქათალას ენიჭებოდათ „ადგილობრივ საქმეებში ავტონომიური მმართველობა“. 108-ე მუხლი ითვალისწინებდა ავტონომიურ მმართველობათა დებულებების ცალკე კანონით მიღებას (აფხაზეთისა..., 2004: 64). „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულება“ დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს კონსტიტუციასთან ერთად მიიღო. მასში დაფიქსირდა, რომ აფხაზეთი საქართველოს რესპუბლიკის განუყოფელი ნაწილია და საკუთარ ტერიტორიაზე „ავტონომიურად უძღვება თავის შინაურ საქმეებს“. ავტონომიური აფხაზეთის საკანონმდებლო ორგანოს-სახალხო საბჭოს არჩევნები ირჩეოდა ორი წლით, „საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, ფარული და პროპორციული საარჩევნო სისტემით“. ავტონომიური მმართველობის სრულ გამგებლობას განეკუთვნებოდა ისეთი საკითხები, როგორიცაა ადგილობრივი ფინანსები, სახალხო განათლება, კულტურული მშენებლობა, ადგილობრივი თვითმმართველობა, სამომრიგებლო სასამართლო, პირადი და საზოგადოებრივი უსაფრთხოების, წესრიგის დაცვა, ადმინისტრაცია, ჯანდაცვა, მედიცინა, ვეტერინარია, ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, ბიუჯეტის დამტკიცება, საზოგადოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის კერძო პირთა უძრავი ქონების ჩამორთმევა რესპუბლიკის კანონების ძალით, ყველა ადგილობრივი მნიშვნელობის მიწა, მამული, ტყე, სამკურნალო წყალი; სახელმწიფო ენას წარმოადგენდა ქართული, მაგრამ სკოლებში და სახელმწიფო დაწესებულებებში დაშვებული იყო ადგილობრივი ენების გამოყენება; ადამიანის უფლებების დაცვას უზრუნველყოფდნენ რესპუბლიკის კონსტიტუცია და კანონები; საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში არჩევნებისათვის აფხაზეთი ცალკე საარჩევნო ოლქს შეადგენდა; სახალხო საბჭო ამტკიცებდა აღმასრულებელ ხელისუფლებას აფხაზეთის კომისარიატს (აფხაზეთისა..., 2004: 61-62; Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 466-469,787).

მართალია, 1921 წ. 21 თებერვალს დაამტკიცებულმა კონსტიტუციამ, მით უფრო „აფხაზეთის ავტონომიური მმართველობის დებულებამ“ ამოქმედება ვერ მოასწორო, მაგრამ ავტონომიური აფხაზეთი დე-ფაქტო სარგებლობდა ყველა ამ უფლებით ზემოთნახსენები დოკუმენტის („აფხაზეთის მართვა- გამგეობის ძირითადი დებულებების შესახებ“) მიხედვით. სრულიად განსხვავებული ვითარება შეიქმნა საბჭოთა პერიოდში.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთმა მოახდინა საქართველოს

ოკუპაცია მისი შემდგომი ანექსიით. სოჭის მხრიდან შემოსულმა IX არმიამ სოხუმი 4 მარტს დაიკავა. ამის შემდეგ ძალაუფლება რუსეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს (კავბიურო) მიერ ე. ეშბას (თავმჯდომარე), ნ. ლაკობასა და ნ. აქირთავას შემადგენლობით შექმნილ საოკუპაციო ორგანოს - რევოლუციურ კომიტეტს (რეევკომს) გადაეცა. მაშინათვე დღის წესრიგში დადგა აფხაზეთის პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსის, საქართველოსთან მისი ურთიერთობის საკითხი.

საოკუპაციო ორგანოების - კავბიუროს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, აფხაზეთის რეევკომის წარმომადგენელთა ბათუმის თათბირზე (1921 წ. 28 მარტი) მოხდა შეთანხმება, აფხაზეთის საბჭოების ყრილობამდე რუსეთთან თუ საქართველოსთან აფხაზეთის ფედერირების საკითხის ღიად დატოვებისა და მისი სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკად გამოცხადების შესახებ. თათბირის ეს გადაწყვეტილება გახდა საფუძველი 1921 წლის 31 მარტს აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამოცხადებისა. საბჭოთა რუსეთის ცენტრალურ სახელმწიფო სტრუქტურებს არასოდეს განუხილავთ აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებული საკითხები და არც რაიმე გადაწყვეტილება მიუღიათ. ეს თემა არ ყოფილა საბჭოთა ლიდერების (მათ შორის ვ. ლენინის) მსჯელობის საგანიც. ყველა საკითხი თბილისში კავბიუროს სხდომებზე, მის ხელმძღვანელ გ. ორჯონიკიძესა და რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარ ი. სტალინს შორის სიტყვიერი შეთანხმებით წყდება, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების, თავისუფლებისაკენ სწრაფვის სურვილის ჩახშობისა და არა ერთა თვითგამორკვევის ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომაც აფხაზეთის დამოუკიდებლობა წმინდა წყლის ფიქციას წარმოადგენდა და მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ რევოიონის ხელმძღვანელი პირები არა საქართველოს მთავრობის, არამედ კავბიუროს მიერ ინიშნებოდნენ. უკვე იმ პერიოდში მუშავებოდა აფხაზეთის საქართველოსაგან საბოლოოდ ჩამოცილების გეგმაც. ასე, მაგალითად, რუსეთის ყოფილმა სამხედრო ატაშემ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში პ. სიტინმა, რომელიც საბჭოთა პერიოდშიც აგრძელებდა თავის ჯამუშურ საქმიანობას თბილისში, 1921 წ. 22 აპრილს მოსკოვს „ქართული შოვინიზმის“ დათრგუნვის, მისი „ტერიტორიალურად და მატერიალურად“ დასუსტების გეგმა წარუდგინა. სხვადასხვა ზომების (რუსეთის ჯარების განლაგება თურქეთის საზღვართან, სამეგრელოს ავტონომიზაცია, რუსული მოსახლეობის მხარდაჭერა და გააქტურება, ამიერკავკასიის რკინიგზის მოსკოვისთვის გადაცემა) მიღებასთან ერთად, იგი ითვალისწინებდა რუსეთის ფედერაციის საზღვრების მდ. ბზიფამდე გადატანას, აფხაზეთში პლემბისციტის ჩატარებას და რუსეთთან მის უშუალო მიერთებას (Дж. Гамахория, Б. Гогия. Абхазия..., 1997: 470-472). როგორც ჩანს, ეს გეგმა არასოდეს მოხსნილა დღის წესრიგიდან, თუმცა იმ პერიოდში აფხაზეთის რეალურ დამოუკიდებლობაზე საუბარი არცერთ დონეზე არ ყოფილა. თვით საბჭოთა აფხაზეთის ხელმძღვანელებსაც (ე. ეშბა, ნ. ლაკობა) კარგად ესმოდათ, რომ 1921 წ. მარტში „დამოუკიდებლობა“ გამოცხადდა დროებით, „ერთი წუთით“, რომ ეს იყო მხოლოდ „აბრა“ და ა.შ. (ჯ. გამახარია. ქართულ..., 1991: 118). ამ გარემოების გათვალისწინებით აფხაზეთის მშრომელთა პირველმა ყრილობამ უკვე 1921 წ. 28 მაისს მიიღო გადაწყვეტილება ყველა საბჭოთა რესპუბლიკის მშრომელებთან, „პირველ რიგში, კულტურით, ეკონომიკურით და გეოგრაფიული მდგომარეობით, ყოფით ყველაზე ახლოს მდგომი საბჭოთა საქართველოს მუშებთან და გლეხებთან“ უმჭიდროესი კავშირის დამყარების

შესახებ. ამ კავშირის ფორმები კი საქართველოსა და აფხაზეთის საბჭოების I ყრილობას უნდა განესაზღვრა (Укрепление..., 1957: 44-51).

სახელმწიფოებრივი (მათ შორის საბიუჯეტო) ურთიერთობის გარკვეული ფორმები საქართველოსა და „დამოუკიდებელ“ აფხაზეთს შორის გასაბჭოების შემდეგაც არსებობდა. მაგალითად, საქართველოს სსრ სახელმწიფო სტრუქტურები, მათ შორის რეკომი, შინაგან საქმეთა სამინისტრო აფხაზეთის რეკომს უგზავნიდნენ თავიანთ განკარგულებებს ქართულ ენაზე „ცნობად და სახელმძღვანელოდ“, „სისწორით შესასრულებლად“, ლებულობდნენ გადაწყვეტილებებს აფხაზეთისათვის კრედიტების გახსნის, ბზიფის ხე-ტყის კონცესიების გაფორმების, ტყვარჩელის მღაროების შესახებ და ა.შ. აფხაზეთის რეალური სტატუსი უფრო დაბალი ჩანს, ვიდრე დაღესტნისა და მთიულთა ავტონომიური რესპუბლიკებისა, ნახიჭევანისა და ყაბარდოსი. მათგან განსხვავებით, აფხაზეთი უშუალოდ არ შედიოდა კავკასიის ეკონომიკურ კავშირში (შეიქმნა 1921 წ. აგვისტოში); „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი ვერ შევიდა ასევე კავშიურს მიერ 1921 წ. 16 აგვისტოს შექმნილ ეკონომიკურ ბიუროში, რომელიც საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს აერთიანებდა (გ. გამახარია. 1991: 118-122). აფხაზეთი კი საქართველოს შემადგენლობაში იგულისხმებოდა როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ისე ყველა სხვა ვითარებაშიც. აფხაზეთს საქართველოს ნაწილად განიხილავდა თვით რუსეთის ეროვნებათა საქმის სახალხო კომისარიატი. მისი ხელმძღვანელი ი. სტალინი 1921 წ. 1 სექტემბერს სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს (საბჭოების ყრილობებს შორის პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო ორგანო) აცნობებდა: „აფხაზეთი არის დამოუკიდებელი საქართველოს ნაწილი. ამის გამო დამოუკიდებელი წარმომადგენლობები რუსეთში არ გჰყავს და არც უნდა ჰყავდეს. ამიტომ კრედიტის მიღება რსფსრ—დან მას არ შეუძლია“ (А. Ментешавили, 1998: 67).

ვინაიდან მოსკოვისთვის, თბილისისთვის და აგრეთვე სოხუმისთვის აფხაზეთის რეალური სტატუსის საკითხი სრულიად ნათელი იყო, 1921 წ. 5 ივლისს კავშიურში მიიღო გადაწყვეტილება, წარიმართოს პარტიული მუშაობა იმ მიმართულებით, რომ აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სახით შევიდეს საქართველოს შემადგენლობაში. იმავე წლის 23 ივლისს აფხაზეთის პასუხისმგებელ მუშაკთა თათბირმა, მოისმინა რა ნ. ლაკობას მოხსენება, ახლო მომავალში საქართველოსთან ფედერაციული კავშირის დამყარების რწმენა გამოთქვა (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 475, 792). 1921 წ. 1 ნოემბერს კავშიურში საჭიროდ მიიჩნია აფხაზეთ-საქართველოს შორის მომავალი ხელშეკრულების პროექტის შემუშავება, რისთვისაც სპეციალური კომისიაც ჩამოაყალიბა. იმავე წლის 16 ნოემბერს კავშიურში შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო:

1. ეკონომიკურად და პოლიტიკურად მიზანშეუწონლად ჩათვალოს დამოუკიდებელი აფხაზეთის არსებობა.

2. წინადადება მიეცეს ამხანაგ ემბას, წარმოადგინოს თავისი საბოლოო დასკვნა სახელმეკრულებო საწყისებზე აფხაზეთის საქართველოს ფედერაციის შემადგენლობაში ან ავტონომიური ოლქის საწყისებზე რსფსრ-ში შესვლის შესახებ“ (Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997: 481-482).

კავშიურს ამ გადაწყვეტილებით აფხაზეთს უარი ეთქვა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ამიერკავკასიის ფედერაციაში უშუალოდ შესვლაზე. ეს გადაწყვეტილება მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მასში განსაზღვრულია აფხაზეთის სტატუსი საბჭოთა რუსეთის კრიტერიუმების მიხედვით — ავტონომიური

ოლქი. საქართველოს შემადგენლობაში კი მას ეძლეოდა უფრო მაღალი სტატუსი იმისათვის, რომ მოსკოვის ხელში ყოფილიყო ურჩ საქართველოზე ზეწოლის ეფექტური ბერკეტი.

192 წ. 16 დეკემბერს საქართველომ და აფხაზეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას სამხედრო, პოლიტიკური და ფინანსურ—ეკონომიკური კავშირის დამყარების შესახებ. აფხაზეთი ამ ხელშეკრულებით საქართველოს ნაწილი ხდებოდა და ყველა სამხარეო (ამიერკავკასიის) ორგანიზაციაში არა უშუალოდ, არამედ საქართველოს მეშვეობით შედიოდა (Дж. Гамахория, Б. Гогия, 1997: 483-484). აფხაზეთის საბჭოების I ყრილობამ 1922 წ. 17 თებერვალს მოიწონა ხელშეკრულება საქართველოსთან. აფხაზეთის სსრ საქართველოს შემადგენლობაში გაერთიანება დაადსტურა საქართველოს საბჭოების I ყრილობაზე 1922 წ. 28 თებერვალს მიღებულმა საქართველოს სსრ პირველმა კონსტიტუციამ. მასში ნათქვამია: „საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალი თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა; უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას - ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე“ (საქართველოს..., 1983: 73).

ფაქტობრივად და იურიდიულად აფხაზეთის სსრ წარმოადგენდა ავტონომიურ რესპუბლიკას. ამ სტატუსით მოიხსენიება იგი საქართველოს კომპარტიის ცკ-ის 1922 წ. 27 თებერვლის დადგენილებაში ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში ადგილების გადანაწილებასთან დაკავშირებით: „მიეცეს ცენტრს 35, აფხაზეთის, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებს... სამ-სამი ადგილი.“ (ზ. პაპასქირი. ნარკვევები..., 2007: 98). საქართველოს კომპარტიის III ყრილობაზე 1924 წ. მაისში გაიმართა მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციიდან სიტყვების „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ ამოღების შესახებ. ყრილობაზე გამოსვლისას (1924 წ. 8 მაისი) ნ. ლაკობამ განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხზე მას ესაუბრა ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბესო ლომინაძე. აფხაზეთის ლიდერმა, თავის მხრივ, აღნიშნა: „ჩვენ ვამბობთ, რომ ვართ სახელშეკრულებო რესპუბლიკა, და მე მყოფნის გამბედაობა, განვაცხადო, რომ აფხაზეთის გლახობა ორ წელიწადში ამ სიტყვებსაც ამოშლის.“ ნ. ლაკობამ აფხაზ ხალხზეც ისაუბრა: „აფხაზებს ისტორიული თვალთახედვით რომ მიუდგეთ, რა თქმა უნდა, არავითარი როლის თამაში კაცობრიობის ისტორიაში არ შეეძლოთ, თუნდაც იმიტომ, რომ ამ ხალხს არა აქვს არც თავისი ისტორია, არც თავისი დამწერლობა, არც თავისი ლიტერატურა“ (Л. Тоидзе, 1996: 29-30).

აფხაზეთის ნამდვილი პოლიტიკურ-სამართლებრივი სტატუსი დაფიქსირებული იყო საბჭოთა კავშირის პირველ კონსტიტუციაში (1924 წ.), რომლის მეოთხე თავში (მუხლი 15) შავით თეთრზე წერია: „ავტონომიური რესპუბლიკები აჭარა და აფხაზეთი და ავტონომიური ოლქები სამხრეთ ოსეთი, მთიანი ყარაბაღი და ნახიჭევანი ეროვნებათა საბჭოში თითო წარმომადგენელს აგზავნიან“ (История..., 1957, с. 229). გამოდის, რომ „დამოუკიდებელი“ აფხაზეთი სინამდვილეში ავტონომიურ რესპუბლიკად ითვლებოდა და სსრ კავშირის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ავტონომიური ოლქების დონეზე იყო წარმოდგენილი. საქართველოსა და აფხაზეთის კონსტიტუციები ამკარა წინააღმდეგობაში მოდიოდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციასთან, ვინაიდან აფხაზეთი ამ კონსტიტუციებში კვლავ სახელშეკრულებო რესპუბლიკად მოიხსენიებოდა.

აფხაზეთის სსრ პირველი კონსტიტუციის მიღების წარუმატებელი მცდელობა იყო 1925 წ. 1 აპრილს, როცა საბჭოების მესამე ყრილობამ ყოველგვარი განხილვის გარეშე თითქოს დაამტკიცა კონსტიტუცია. სსრ კავშირის, ამიერკავკასიის ფედერაციისა და საქართველოს კონსტიტუციების სრული იგნორირებით, აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოდ ცხადდებოდა, რომელსაც ვითომ ჰქონდა ამიერკავკასიის ფედერაციისა და სსრ კავშირის შემაღენლობიდან გასვლის უფლება (საქართველოს შემაღენლობიდან გასვლის ან მასთან დადებული ხელშეკრულების გაუქმების უფლებაზე კონსტიტუციაში საუბარი არ იყო). კონსტიტუციის პირველი თავის მეოთხე მუხლი არეგულირებდა საქართველოსთან ურთიერთობას: „აფხაზეთის სსრ, გაერთიანდა რა განსაკუთრებული სამოკავშირეო ხელშეკრულების საფუძველზე საქართველოს სსრ-თან, მისი მეშვეობით შედის ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში...“ (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 490-491).

აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუცია, რომელსაც თვით ნ. ლაკობამ „კონსტიტუციური სისულელე“ უწოდა, ზემდგომი ორგანოების მითითებით არ გამოქვეყნებულა და, შესაბამისად ძალაში არ შესულა. უფრო მეტიც, საბჭოების III ყრილობის ბიულეტენში, რომელიც აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა გამოსცა, ნათქვამია: „ყრილობამ გადაწყვიტა, დასრულდეს მუშაობა ყრილობისთვის წარდგენილ პროექტზე, მოყვანილ იქნეს იგი შესაბამისობაში საქართველოს სსრ და ამიერკავკასიის სფსრ კონსტიტუციებთან“ (Съезды..., 1964: 673). ამრიგად, აფხაზეთის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა 1925 წ. კონსტიტუცია მხოლოდ პროექტად აღიარა. მისი გადასინჯვის საკითხი განიხილეს რუსეთის კომპარტიის ამიერკავკასიის სამხარეო (1925 წ. ნოემბერი), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა (1925 წ., 6, 31 ივლისი, 27 სექტემბერი) და საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიურომ (1925წ. 11 სექტემბერი). აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობა 1926 წლისთვის დასრულდა, იმავე წლის 11-16 ივნისს სოხუმში გამართულმა სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანა ახალი V თავი - „მოკავშირე აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა.“ იგი უცვლელად შევიდა 1926 წ. 27 ოქტომბერს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიის მიერ დამტკიცებულ აფხაზეთის პირველ კონსტიტუციაში II თავის სახით. იგი საბოლოოდ დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების IV ყრილობამ (1927 წ. 5-10 მარტი). მასში ორჯერ (მუხლები 2, 17) არის დაფიქსირებული, რომ აფხაზეთის სსრ „განსაკუთრებული ხელშეკრულების ძალით შედის“ საქართველოს შემაღენლობაში, ხოლო მისი მეშვეობით-ამიერკავკასიის ფედერაციაში; სახელმწიფო ენებად აღიარებულია აფხაზური, ქართული და რუსული (მუხლი 8), თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილებას მიჯნავდა 21-ე მუხლი. აფხაზეთის შინაგან საქმეთა, იუსტიციის, განათლების, ჯანდაცვის, მიწათმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატები (სამინისტროები) მოქმედებდნენ საქართველოს სათანადო კომისარიატებისგან დამოუკიდებლად. აფხაზეთის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო ორმაგ დაქვემდებარებაში იმყოფებოდა; აფხაზეთის მთავრობაში გადაწყვეტი ან სათათბირო ხმის უფლებით (ამის შესახებ გადაწყვეტილებას აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი იღებდა) შედიოდნენ ფინანსთა, შრომის, მუშათა



და გლახთა ინსპექციის რწმუნებულები, რომლებიც საქართველოს შესაბამისი კომისარიატების ორგანოებს წარმოადგენდნენ, მაგრამ პერიოდულად ანგარიშს უდგენდნენ აფხაზეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მთავრობას. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გასავრცელებლად გამოცემულ საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კოდექსებს, დეკრეტებს დადგენილებებს სავალდებულო ძალა ჰქონდათ აფხაზეთის სსრ ტერიტორიაზე; კონსტიტუციასთან შეუსაბამო აფხაზეთის საბჭოების ყრილობების, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიებისა და მთავრობის დადგენილებების გაუქმების უფლებამოსილება ჰქონდა საქართველოს საბჭოების ყრილობას ან ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სესიას. 125-ე მუხლის მიხედვით, აფხაზეთის სსრ ბიუჯეტი მისი დამტკიცების შემდეგ ხდებოდა საქართველოს ბიუჯეტის ნაწილი (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 498-500). მიუხედავად საბჭოთა კონსტიტუციების ფორმალური ხასიათისა (პარტიული ორგანოების ხელში მთელი ძალაუფლების თავმოყრის გამო), შეიძლება ითქვას, რომ თბილისსა და სოხუმს შორის უფლებამოსილება საკმაოდ მკაფიოდ იყო გამიჯნული. ამავე დროს, ამიერკავკასიისა და სსრ კავშირის კონსტიტუციები აფხაზეთის (თუნდაც საქართველოს) განსაკუთრებულ გამგებლობაში სახელმწიფოებრივი ცხოვრების არც ერთ სფეროს არ ტოვებდნენ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების კვალობაზე, როცა იმპერიის მესვეურთა აზრით, მისი დამოუკიდებლობის აღდგენის საფრთხე მოიხსნა, აფხაზეთის სსრ-ს შემაკავებელი ფუნქცია ამოწურულად ჩაითვალა. გარდა ამისა, 20-30-იან წლებში მიმდინარეობდა რუსეთის შემადგენლობაში შემაჯავლი ავტონომიების რეორგანიზაცია. აფხაზეთზე ბევრად უფრო მრავალრიცხოვანი და განვითარებული ერები ავტონომიური ოლქების, საუკეთესო შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების სტატუსს ღებულობდნენ ან ინარჩუნებდნენ. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის 1921 წ. 16 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება არ შეესაბამებოდა კონსტიტუციურად განმტკიცებულ ურთიერთობებს. შექმნილ ვითარებაში სავსებით ბუნებრივად დაისვა აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის სსრ კავშირის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხი. 1930 წლის 17 აპრილს აფხაზეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის III სესიამ განიხილა საქართველოსა და აფხაზეთს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობების გადასინჯვის წინადადება. სესიამ კონსტიტუციიდან ამოიღო სიტყვები „სახელშეკრულებო რესპუბლიკა“ და იგი „ავტონომიური რესპუბლიკა“-თი შეცვალა. 1931 წ. 11 თებერვალს ეს ცვლილებები დაამტკიცა აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობამ. სიტყვით გამოსულმა ნ. ლაკობამ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა: „საქართველოსა და აფხაზეთის მშრომელებს შორის ურთიერთობების საკითხი მთლიანად გადაწყვეტილია“ (Дж. Гамахрия, Б. Гогия, 1997: 503-504). ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 1931 წ. აფხაზეთის სახელის გადაჩქევას 1926 წლის კონსტიტუციით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა შეცვლა არ მოჰყოლია.

30-იან წლებში საბჭოთა იმპერიის მასშტაბით მიმდინარეობდა ხელისუფლების ცენტრალიზაციის, უნიტარიზაციის, მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების პროცესი. იგი მოითხოვდა მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში კონსტიტუციების, კანონმდებლობის უნიფიცირებას. ამ შემთხვევაში ტოტალიტარული სისტემა აფხაზეთისათვის გამონაკლის ვერ დაუშვებდა. აფხაზეთის საბჭოების VII ყრილობამ 1935 წ. 7 იანვარს დაამტკიცა კონსტიტუციის ახალი რედაქცია, საიდანაც გაქრა თბილისსა



და სოხუმს შორის უფლებამოსილებათა გამმიჯნავი მუხლები, დაფიქსირდა მართვის სრული ცენტრალიზაცია-ავტონომიური რესპუბლიკის ყველა სახალხო კომისარიატი საქართველოს სათანადო უწყებებს დაუქვემდებარა (მუხლი 42) (Съезды..., 1964: 766-773). კონსტიტუციის ახალ რედაქციაში შენარჩუნებული იყო სახელმწიფოებრიობის მხოლოდ ისეთი ატრიბუტები, როგორცაა საკუთარი ღერბი და დროშა (მუხლი 83, 84). შესაბამისი ცვლილება შევიდა საქართველოს კონსტიტუციაშიც, რომელიც საბჭოების VII ყრილობამ (1935 წ. 10-14 იანვარი) დაამტკიცა (სრულიად..., 1935: 248).

საბჭოთა კავშირში ტოტალიტარული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბების პროცესი 1936წ. 5 დეკემბერს საკავშირო საბჭოების VIII საგანგებო ყრილობაზე „სტალინური კონსტიტუციის“ მიღებით დასრულდა. გაუქმდა ამიერკავკასიის ფედერაცია. საქართველო უშუალოდ შევიდა სსრ კავშირის შემადგენლობაში. რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია საქართველოს საბჭოების VIII საგანგებო ყრილობამ 1937 წ. 13 თებერვალს მიიღო. საქართველოს კონსტიტუციის საფუძველზე აფხაზეთის საბჭოების VIII ყრილობამ, მოისმინა რა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ა. აგრბას მოხსენება, 1937 წლის 2 აგვისტოს დაამტკიცა ავტონომიური რესპუბლიკის ახალი კონსტიტუცია, რომელშიც შენარჩუნებულია მართვის სფეროს სრული ცენტრალიზაცია. ცვლილება შეეხო სიმბოლიკასაც. აფხაზეთის დროშად და ღერბად აღიარებულია საქართველოს დროშა და ღერბი (მუხლი 111, 112) (ნარკვევები..., 2007: 322). აფხაზეთის სახელმწიფო ენებად კვლავ აფხაზური, რუსული და ქართული დარჩა. ეს განასხვავებდა აფხაზეთის კონსტიტუციის რუსეთის ფედერაციაში შემავალი ავტონომიების კონსტიტუციებისაგან, რომლებშიც სახელმწიფო ენად რუსული იყო აღიარებული.

20-30-იან წლებში აფხაზეთი, ერქვა მას საბჭოთა სოციალისტური თუ ავტონომიური რესპუბლიკა, წარმოადგენდა არა სუვერენულ, დამოუკიდებელ, საქართველოსთან თანასწორუფლებიან სახელმწიფოებრივ წარმონაქმნს, არამედ საქართველოს სსრ შემადგენელ ნაწილს. მისი რეალური უფლებამოსილება (ისევე როგორც უფლებამოსილება ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკისა) სსრ კავშირში მართვის ტოტალიტარული სისტემის ჩამოყალიბების კვალობაზე, თანდათანობით შემცირდა და 1937 წლის კონსტიტუციის მიღების შემდეგ მინიმუმამდე დავიდა.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. აფხაზეთისა..., 2004 - აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988), პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული; შემდგენელი და მთავარი რედაქტორი თ. დიასამიძე. თბ., 2004.
2. ჯ. გამახარია, 1991 - ჯ. გამახარია, ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 1991.
3. ნარკვევები, 2007 - საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე, თბ., 2007.
4. ზ. პაპასქირი, 2007 - ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. II, თბ., 2007.
5. საქართველო, 1918, 23 მაისი.
6. საქართველო, 1918, 1 ივნისი.
7. საქართველოს სსრ კონსტიტუციური აქტების კრებული (1921-1978), თბ., 1983.
8. სრულიად საქართველოს საბჭოთა VII ყრილობა (სტენოგრაფიული ანგარიში), თბ., 1935.
9. О. Бгажба, С. Лакоба, 2006 - О. Бгажба, С. Лакоба, История Абхазии, Сухуми, 2006.
10. Дж. Гамахария, Б. Гогия, 1997 - Дж. Гамахария, Б. Гогия, Абхазия, историческая область Грузии, Историография, документы и материалы, комментарий. С древнейших времен до 30х годов XX века, Тб., 1997.
11. История..., 1957 - История советской Конституции, Сборник документов, 1917-1957, М., 1957.
12. А. Ментешавили, 1998 - А. Ментешавили, Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии, Тб., 1998.
13. Съезды..., 1964 - Съезды Советов союзных и автономных советских социалистических республик Закавказья. Сборник документов (1923-1937гг.), т. 6, М., 1964.
14. Л. Тоидзе, 1996 - Л. Тоидзе, К вопросу о политическом статусе Абхазии, Тб., 1996.
15. Укрепление..., 1957 - Укрепление Советской власти в Абхазии. Сборник документов (1921-1925 гг.), Сухуми, 1957.
16. Червоная..., 1992 - Червоная С. Абхазия - 1992, постокмунистическая вандея Грузии, М., 1993.